

**შპს იუ-ჯი-თი ჯგუფი და შვილობილები**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან  
ერთად**

**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
საანგარიშგებო წლისათვის**



## სარჩევი:

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... | 3 |
|---------------------------------------|---|

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

|                                                                |   |
|----------------------------------------------------------------|---|
| სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება .....               | 6 |
| ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება .....         | 7 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება ..... | 8 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება .....     | 9 |

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

|                                                                  |    |
|------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                       | 10 |
| 2. მომზადების საფუძველი .....                                    | 11 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... | 13 |
| 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა .....               | 13 |
| 5. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება .....                        | 17 |
| 6. ამონაგები .....                                               | 18 |
| 7. გაყიდვის თვითღირებულება .....                                 | 18 |
| 8. სხვა შემოსავალი .....                                         | 19 |
| 9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                       | 19 |
| 10. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები .....                       | 19 |
| 11. წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი .....              | 19 |
| 12. ძირითადი საშუალებები .....                                   | 20 |
| 13. არამატერიალური აქტივები .....                                | 21 |
| 14. მარაგები .....                                               | 21 |
| 15. სავაჭრო მოთხოვნები .....                                     | 22 |
| 16. ფული და ფულის ეკვივალენტები .....                            | 22 |
| 17. მიღებული სესხები .....                                       | 22 |
| 18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                          | 23 |
| 19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                     | 23 |
| 20. პირობითი ვალდებულებები .....                                 | 24 |
| 21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....           | 24 |
| 22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....                 | 34 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს იუ-ჯი-თი ჯგუფის და შვილობილი კომპანიების ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

### პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს იუ-ჯი-თი ჯგუფის და შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფს 2018 წელს ჰქონდა გაყიდვები, რომლებიც ფასს 15-ის (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან) შესაბამისად კლასიფიცირდება როგორც მარწმუნებელი პირის დავალებით რწმუნებული პირის ოპერაცია. სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ამონაგები წარდგენილი აქვს მთლიანი ღირებულებით. ჯგუფს რომ გაეკეთებინა ფასს 15-ის შესაბამისი კლასიფიკაცია, ამონაგებიც და გაყიდვის თვითღირებულებაც წარმოდგენილი იქნებოდა 20,444,058 ლარით შემცირებული ღირებულებით რაც არ შეცვლიდა 2018 წლის ფინანსურ შედეგს.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის



უწყებობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

**ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ

დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორის დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებამ შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

#### **აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი: ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

18 ნოემბერი 2019



## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს იუ-ჯი-თი ჯგუფის და შვილობილი კომპანიების ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

### პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს იუ-ჯი-თი ჯგუფის და შვილობილი კომპანიების (შემდეგში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფს 2018 წელს ჰქონდა გაყიდვები, რომლებიც ფასს 15-ის (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან) შესაბამისად კლასიფიცირდება როგორც მარწმუნებელი პირის დავალებით რწმუნებული პირის ოპერაცია. სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ამონაგები წარდგენილი აქვს მთლიანი ღირებულებით. ჯგუფს რომ გაეკეთებინა ფასს 15-ის შესაბამისი კლასიფიკაცია, ამონაგებიც და გაყიდვის თვითღირებულებაც წარმოდგენილი იქნებოდა 20,444,058 ლარით შემცირებული ღირებულებით რაც არ შეცვლიდა 2018 წლის ფინანსურ შედეგს.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

## **ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორის დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებამ შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

#### **აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი: ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

18 ნოემბერი 2019





შპს იუ-ჯი-თი ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის  
(ლარში)

|                                               | შენიშვნა | 2018              | 2017              |
|-----------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| ამონაგები                                     | 6        | 115,066,631       | 127,049,723       |
| გაყიდვის თვითღირებულება                       | 7        | (91,562,581)      | (103,923,085)     |
| <b>საერთო მოგება</b>                          |          | <b>23,504,050</b> | <b>23,126,638</b> |
| სხვა შემოსავალი                               | 8        | 863,698           | 525,934           |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები             | 9        | (10,177,526)      | (6,969,974)       |
| გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები              | 10       | (7,801,795)       | (4,447,366)       |
| სხვა ხარჯები                                  |          | (624,076)         | (436,344)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                      |          | <b>5,764,351</b>  | <b>11,798,888</b> |
| საპროცენტო შემოსავალი                         |          | 443,218           | 292,733           |
| საპროცენტო ხარჯი                              |          | (358,455)         | (264,352)         |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტი      |          | (183,129)         | (723,822)         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                     |          | <b>5,665,985</b>  | <b>11,103,447</b> |
| მოგების გადასახადი                            |          | -                 | -                 |
| <b>წმინდა მოგება</b>                          |          | <b>5,665,985</b>  | <b>11,103,447</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                         |          |                   |                   |
| წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი     | 11       | (134,084)         | (56,327)          |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>               |          | <b>5,531,901</b>  | <b>11,047,120</b> |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი მიკუთვნებული:</b> |          |                   |                   |
| - ჯგუფის მფლობელები                           |          | 5,694,760         | 11,034,403        |
| - არამაკონტროლებელი წილი                      |          | (162,859)         | 12,717            |
|                                               |          | <b>5,531,901</b>  | <b>11,047,120</b> |

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 18 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ერმილე სულაძე

ფინანსური დირექტორი

ადამ გამყრელიძე

10 - 34 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

|                                               | შენიშვნა | 2018              | 2017              |
|-----------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| ამონაგები                                     | 6        | 115,066,631       | 127,049,723       |
| გაყიდვის თვითღირებულება                       | 7        | (91,562,581)      | (103,923,085)     |
| <b>საერთო მოგება</b>                          |          | <b>23,504,050</b> | <b>23,126,638</b> |
| სხვა შემოსავალი                               | 8        | 863,698           | 525,934           |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები             | 9        | (10,177,526)      | (6,969,974)       |
| გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები              | 10       | (7,801,795)       | (4,447,366)       |
| სხვა ხარჯები                                  |          | (624,076)         | (436,344)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                      |          | <b>5,764,351</b>  | <b>11,798,888</b> |
| საპროცენტო შემოსავალი                         |          | 443,218           | 292,733           |
| საპროცენტო ხარჯი                              |          | (358,455)         | (264,352)         |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტი      |          | (183,129)         | (723,822)         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                     |          | <b>5,665,985</b>  | <b>11,103,447</b> |
| მოგების გადასახადი                            |          | -                 | -                 |
| <b>წმინდა მოგება</b>                          |          | <b>5,665,985</b>  | <b>11,103,447</b> |
| <b>სხვა სრული შემოსავალი</b>                  |          |                   |                   |
| წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი     | 11       | (134,084)         | (56,327)          |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>               |          | <b>5,531,901</b>  | <b>11,047,120</b> |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი მიკუთვნებული:</b> |          |                   |                   |
| - ჯგუფის მფლობელები                           |          | 5,694,760         | 11,034,403        |
| - არამაკონტროლებელი წილი                      |          | (162,859)         | 12,717            |
|                                               |          | <b>5,531,901</b>  | <b>11,047,120</b> |

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 18 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_ ერმილე სულაძე

ფინანსური დირექტორი \_\_\_\_\_ ადამ გამყრელიძე

|                                      |    | 31 დეკემბერი<br>შენიშვნა<br>2018 | 31 დეკემბერი 2017<br>გადაანგარიშებული<br>(შენიშვნა 5) | 1 იანვარი 2017<br>გადაანგარიშებული<br>(შენიშვნა 5) |
|--------------------------------------|----|----------------------------------|-------------------------------------------------------|----------------------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                      |    |                                  |                                                       |                                                    |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>         |    |                                  |                                                       |                                                    |
| ძირითადი საშუალებები                 | 12 | 5,900,416                        | 5,569,724                                             | 3,368,726                                          |
| არამატერიალური აქტივები              | 13 | 915,146                          | 955,660                                               | 29,626                                             |
|                                      |    | <b>6,815,562</b>                 | <b>6,525,384</b>                                      | <b>3,398,352</b>                                   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>         |    |                                  |                                                       |                                                    |
| მარაგები                             | 14 | 20,313,085                       | 11,442,973                                            | 13,562,674                                         |
| გაცემული სესხები                     |    | -                                | 124,289                                               | 259,375                                            |
| სავაჭრო მოთხოვნები                   | 15 | 8,381,754                        | 8,532,399                                             | 4,129,527                                          |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები     |    | 2,498,816                        | 8,543,790                                             | 5,621,776                                          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები          | 16 | 7,374,500                        | 9,174,546                                             | 8,848,344                                          |
|                                      |    | <b>38,568,155</b>                | <b>37,817,997</b>                                     | <b>32,421,696</b>                                  |
| <b>სულ აქტივები</b>                  |    | <b>45,383,717</b>                | <b>44,343,381</b>                                     | <b>35,820,048</b>                                  |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |    |                                  |                                                       |                                                    |
| <b>კაპიტალი</b>                      |    |                                  |                                                       |                                                    |
| საწესდებო კაპიტალი                   |    | 1,000,000                        | 1,000,000                                             | 1,000,000                                          |
| გაუნაწილებელი მოგება                 |    | 23,233,672                       | 23,887,670                                            | 19,931,803                                         |
| წარსადგენ ვალუტაში                   |    | (100,335)                        | 33,749                                                | 90,076                                             |
| გადაანგარიშების ეფექტი               |    |                                  |                                                       |                                                    |
| <b>სულ ჯგუფის დამფუძნებლებისთვის</b> |    | <b>24,133,337</b>                | <b>24,921,419</b>                                     | <b>21,021,879</b>                                  |
| <b>მიკუთვნებული კაპიტალი</b>         |    |                                  |                                                       |                                                    |
| არამაკონტროლებელი წილი               |    | 48,983                           | 227,842                                               | 318,230                                            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |    | <b>24,182,320</b>                | <b>25,149,261</b>                                     | <b>21,340,109</b>                                  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>    |    |                                  |                                                       |                                                    |
| საგარანტიო ანარიცხები                |    | 191,221                          | 440,134                                               | 240,924                                            |
|                                      |    | <b>191,221</b>                   | <b>440,134</b>                                        | <b>240,924</b>                                     |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>    |    |                                  |                                                       |                                                    |
| მიღებული სესხები                     | 17 | 4,031,251                        | 765,775                                               | -                                                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        | 18 | 7,641,793                        | 8,700,740                                             | 6,892,938                                          |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები         | 6  | 9,033,849                        | 7,468,742                                             | 5,453,955                                          |
| საგადასახადო ვალდებულებები           |    | 303,283                          | 1,818,729                                             | 1,892,122                                          |
|                                      |    | <b>21,010,176</b>                | <b>18,753,986</b>                                     | <b>14,239,015</b>                                  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |    | <b>45,383,717</b>                | <b>44,343,381</b>                                     | <b>35,820,048</b>                                  |

|                                   | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | წარსადგენ<br>ვალუტაში<br>გადაანგარიშ<br>ების ეფექტი | სულ ჯგუფის<br>დამფუძნებლები<br>სთვის<br>მიკუთვნებული<br>კაპიტალი | არამაკონტრ<br>ოლებელი<br>წილი | სულ<br>კაპიტალი |
|-----------------------------------|-----------------------|-------------------------|-----------------------------------------------------|------------------------------------------------------------------|-------------------------------|-----------------|
| 1 იანვარი 2017                    | 1,000,000             | 19,931,803              | 90,076                                              | 21,021,879                                                       | 318,230                       | 21,340,109      |
| <b>მფლობელებზე<br/>განაწილება</b> |                       |                         |                                                     |                                                                  |                               |                 |
| ინვესტიციის შემცირება             | -                     | (2,433)                 | -                                                   | (2,433)                                                          | 6,433                         | 4,000           |
| დივიდენდები                       | -                     | (7,132,430)             | -                                                   | (7,132,430)                                                      | (109,538)                     | (7,241,968)     |
| მთლიანი სრული<br>შემოსავალი       | -                     | 11,090,730              | (56,327)                                            | 11,034,403                                                       | 12,717                        | 11,047,120      |
| 31 დეკემბერი 2017                 | 1,000,000             | 23,887,670              | 33,749                                              | 24,921,419                                                       | 227,842                       | 25,149,261      |
| <b>მფლობელებზე<br/>განაწილება</b> |                       |                         |                                                     |                                                                  |                               |                 |
| დივიდენდები                       | -                     | (6,482,842)             | -                                                   | (6,482,842)                                                      | (16,000)                      | (6,498,842)     |
| მთლიანი სრული<br>შემოსავალი       | -                     | 5,828,844               | (134,084)                                           | 5,694,760                                                        | (162,859)                     | 5,531,901       |
| 31 დეკემბერი 2018                 | 1,000,000             | 23,233,672              | (100,335)                                           | 24,133,337                                                       | 48,983                        | 24,182,320      |



|                                                                                        | შენიშვნა  | 2018               | 2017               |
|----------------------------------------------------------------------------------------|-----------|--------------------|--------------------|
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                                       |           |                    |                    |
| მოგება დაბეგვრამდე                                                                     |           | 5,665,985          | 11,103,447         |
| <b>კორექტირებები:</b>                                                                  |           |                    |                    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                   | 12,13     | 885,792            | 614,775            |
| ზარალი (მოგება) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან                                    |           | 2,792              | (2,072)            |
| საკუროს სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი                                             |           | 183,129            | 723,822            |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                  |           | (443,218)          | (292,733)          |
| საპროცენტო ხარჯი                                                                       |           | 358,455            | 264,352            |
| საგარანტიო ანარიცხის (ამობრუნება) ხარჯი                                                |           | (248,913)          | 199,210            |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე</b>         |           | <b>6,404,022</b>   | <b>12,610,801</b>  |
| ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:                                                         |           |                    |                    |
| სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)                                                   |           | 414,585            | (3,854,313)        |
| მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების შემცირება (ზრდა)                                 |           | 6,044,974          | (2,953,362)        |
| მარაგების (ზრდა) შემცირება                                                             |           | (8,910,539)        | 4,579,539          |
| საგადასახადო ვალდებულებების შემცირება                                                  |           | (1,515,446)        | (73,393)           |
| სავაჭრო ვალდებულებების შემცირება                                                       |           | (2,048,755)        | (652,036)          |
| სახელშეკრულებო ვალდებულებების ზრდა                                                     |           | 1,565,107          | 1,979,098          |
| <b>ფულადი ნაკადების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე</b> |           | <b>1,953,948</b>   | <b>11,636,334</b>  |
| გადახდილი პროცენტი                                                                     |           | (137,537)          | (247,458)          |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან</b>                     |           | <b>1,816,411</b>   | <b>11,388,876</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                      |           |                    |                    |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                                                         | 12        | (1,191,875)        | (2,771,601)        |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაცია                                                       |           | 4,713              | 5,738              |
| არამატერიალური აქტივების შესყიდვა                                                      | 13        | -                  | (971,180)          |
| გაცემული სესხების ზრდა                                                                 |           | -                  | (135,086)          |
| გაცემული სესხების შემცირება                                                            |           | 122,184            | -                  |
| მიღებული პროცენტი                                                                      |           | 443,218            | 292,733            |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადების გაძინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                     |           | <b>(621,760)</b>   | <b>(3,579,396)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                         |           |                    |                    |
| მიღებული სესხები ზრდა                                                                  | 17        | 8,144,095          | 30,099,678         |
| მიღებული სესხების შემცირება                                                            | 17        | (5,147,257)        | (29,238,630)       |
| გადახდილი დივიდენდები                                                                  |           | (6,482,842)        | (7,241,968)        |
| ინვესტიციების რეალიზაცია                                                               |           | -                  | 10,000             |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადების გაძინება საფინანსო საქმიანობიდან</b>                        |           | <b>(3,486,004)</b> | <b>(6,370,920)</b> |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების (შემცირება) ზრდა</b>                                        |           | <b>(2,291,353)</b> | <b>1,438,560</b>   |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>                                     | <b>16</b> | <b>9,174,546</b>   | <b>8,848,344</b>   |
| გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში                         |           | 491,307            | (1,112,358)        |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>                                          | <b>16</b> | <b>7,374,500</b>   | <b>9,174,546</b>   |

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს იუ-ჯი-თი ჯგუფი (შემდგომში დედა კომპანია) დაარსდა 2011 წლის მარტში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ი.ჭავჭავაძის 17 ე, თბილისი, საქართველო.

ჯგუფის გენერალური დირექტორი არის ერმილე სულაძე და უმაღლესი მმართველი ორგანოა პარტნიორთა კრება.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის მეწილეები არიან:

|                   | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 | 1 იანვარი 2017 |
|-------------------|-------------------|-------------------|----------------|
| გრიგოლ ჭირაქაძე   | 85%               | 85%               | 85%            |
| ერმილე სულაძე     | 5%                | 5%                | 5%             |
| გიორგი მაისურაძე  | 5%                | 5%                | 5%             |
| გურამ ხოჯანაშვილი | 5%                | 5%                | 5%             |
|                   | 100%              | 100%              | 100%           |

დედა კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მართვა. შპს იუ-ჯი-თი ჯგუფის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა სახის ბიზნეს სფეროებს როგორც არის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიურ პროდუქტებთან და მომსახურებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დანერგვას, განაწილებას და მხარდაჭერას, ენერგოსისტემების გადაწყვეტილებები, მოვლის სერვისები, ელექტრონული წიგნები, IT ტრენინგების ცენტრი, სამედიცინო აღჭურვილობა და საბანკო სისტემების გადაწყვეტილებები. ჯგუფი არის სისტემური ინტეგრატორი და გადაწყვეტილებების პროვაიდერი საქართველოს IT ბაზარზე. ჯგუფი მომსახურებას უწევს როგორც კორპორატიულ კლიენტებს ასევე სამთავრობო სექტორს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

|                                      | ქვეყანა                        | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 | 1 იანვარი 2017 | ძირითადი საქმიანობა                    |
|--------------------------------------|--------------------------------|-------------------|-------------------|----------------|----------------------------------------|
| შპს იუ-ჯი-თი                         | საქართველო                     | 100%              | 100%              | 100%           | აიტი ტექნოლოგიებით ვაჭრობა             |
| შპს დილაინი                          | საქართველო                     | 90%               | 90%               | 90%            | აიტი ტექნოლოგიების დისტრიბუცია         |
| შპს პისიშოპ.ჯი                       | საქართველო                     | 85%               | 85%               | 85%            | კომპიუტერების საცალო რეალიზაცია        |
| შპს ენსოლი                           | საქართველო                     | 75%               | 80%               | 80%            | ენერგოსისტემებით ვაჭრობა               |
| შპს ამპერი                           | საქართველო                     | 80%               | 80%               | 80%            | ენერგო გადაწყვეტილებები                |
| შპს აქტივუსი                         | საქართველო                     | 80%               | 80%               | 80%            | სამედიცინო აღჭურვილობით ვაჭრობა        |
| შპს აიტი-ნოლიჯი                      | საქართველო                     | 66%               | 66%               | 66%            | IT ტრენინგ ცენტრი                      |
| შპს აიტი-ნოლიჯი II                   | საქართველო                     | 66%               | 66%               | 66%            | IT ტრენინგ მომსახურება                 |
| შპს აიტი-ინვესტი                     | საქართველო                     | 100%              | 100%              | 100%           | საინვესტიციო საქმიანობა IT ინდუსტრიაში |
| შპს ლითერასი                         | საქართველო                     | 100%              | 100%              | 100%           | ელექტრონული წიგნებით ვაჭრობა           |
| შპს კავკასუს იახტს                   | საქართველო                     | 100%              | 100%              | 100%           | იახტები, ნავები და წყლის სპორტი        |
| EuroMarine Group Tersanecilik Sanayi | თურქეთი                        | 100%              | -                 | -              | იახტების მშენებლობა და შეკეთება        |
| EuroMarine Group LTD                 | ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები | 100%              | 100%              | 100%           | იახტებით ვაჭრობა                       |
| შპს იუჯითი აიტი სოლუშენი             | საქართველო                     | 90%               | 90%               | 90%            | IT დანერგვის სერვისები                 |

## 1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

|                                          |            |      |      |      |                                 |
|------------------------------------------|------------|------|------|------|---------------------------------|
| შპს იუჯი-თი ინტელიჯენტ სოფთვეარ სოლუშენი | საქართველო | 100% | 100% | 100% | IT სოფტების შემუშავება          |
| შპს იუჯი-თი პროჯექტსი                    | საქართველო | 90%  | 90%  | 90%  | კომპიუტერული სისტემებით ვაჭრობა |
| შპს იუჯი-თი ფეიშენტ სისტემსი             | საქართველო | 86%  | 86%  | 86%  | საბანკო ტექნოლოგიებით ვაჭრობა   |
| შპს ბათუმის იახტ კლუბი                   | საქართველო | 100% | -    | -    | საიახტო ბიზნესი                 |
| შპს ფორ მარინ საფლაი                     | საქართველო | 100% | 100% | -    | იახტების ნაწილების რეალიზაცია   |

2018 წლის ნოემბერში ჯგუფმა დააფუძნა კომპანია შპს ნექსი ტექნი, სადაც ჯგუფი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 50%-იან წილს. კომპანიას 2018 წელს არ დაუწყია საქმიანობა. ჯგუფს არ აქვს კომპანიის ერთპიროვნულად მართვის უფლება და შესაბამისად ინვესტიციას აღრიცხავს კაპიტალ მეთოდით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა იქნება თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, ისეთები როგორიცაა ნივთების ინტერნეტი (IoT), ხელოვნური ინტელექტი (AI) და კორპორატიული ბლოკჩეინ სისტემები.

ჯგუფის მფლობელების წილები და ასევე შპს იუ-ჯი-თიში, შპს იუჯი-თი აიტი სოლუშენსში, შპს იუჯი-თი პროჯექტსში, შპს იუჯი-თი ინტელიჯენტ სოფთვეარ სოლუშენსში ჯგუფის მიერ ფლობილი წილები დაგირავებულია (100%, 90%, 90% და 100%, შესაბამისად) ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული გრძელვადიანი საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით.

## 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის, ჯგუფს არ გამოუყენებია ფასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2017 წლის 1 იანვრამდე ჯგუფს არ მოუმზადებია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 21-ე შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

**2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას.

**საქმიანობის უწყვეტობა**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში და სჯერათ, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

**ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:**

სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის შემდგომ პერიოდში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

**ფასს 16 იჯარა**

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა იჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების ანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი. ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. ჯგუფმა შეაფასა ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და მიიჩნია, რომ არაარსებითია, იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფს არ აქვს იჯარით აღებული მნიშვნელოვანი აქტივები.



**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

**საგარანტიო ანარიცხები -** ჯგუფი აღიარებს საგარანტიო ანარიცხებს იმ მომენტში როდესაც აღიარებს მასთან დაკავშირებულ შემოსავლებს. საგარანტიო ანარიცხების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ როცა არის ჯგუფის მიმდინარე მოვალეობა წარმოშობილი წარსული მოვლენების შედეგად, სავარაუდოა, რომ მოვალეობების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის საიმედო შეფასება. ამ შეფასების პროცესში თანდაყოლილი განუსაზღვრელობების გამო, ფაქტობრივი გარანტიის ხარჯები შესაძლოა განსხვავებული იყოს თავდაპირველი სავარაუდო შეფასებისგან. საგარანტიო ანარიცხების ვალდებულებები აღიარებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე და მიზნად ისახავს გარანტიის ხარჯების ანაზღაურებას.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება.** ჯგუფმა დაწერა ფას 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, ჯგუფმა დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო მოთხოვნები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში.

**სასამართლო დავები.** ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა**

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

**4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები**

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებსაც იყენებს ჯგუფი და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სავაჭრო მოთხოვნები
- ფული და ფულის ეკვივალენტები
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. მიღებული სესხები შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 ან მე-3 დონით.

**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს ჯგუფის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიქმნება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. ჯგუფის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები რაც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაწესდებლად, კონტრაქტის გაფორმებამდე.

მენეჯმენტმა შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის ჯგუფის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. ფინანსური აქტივები, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების თარიღებისათვის არ არის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

#### 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

##### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                | ლარი             | დოლარი            | ევრო             | სულ               |
|--------------------------------|------------------|-------------------|------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                  |                   |                  |                   |
| სავაჭრო მოთხოვნები             | 917,874          | 7,354,543         | 109,337          | 8,381,754         |
| ფული და ფულის<br>ეკვივალენტები | 987,731          | 3,471,133         | 2,915,636        | 7,374,500         |
|                                | <b>1,905,605</b> | <b>10,825,676</b> | <b>3,024,973</b> | <b>15,756,254</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                  |                   |                  |                   |
| მიღებული სესხები               | 843,303          | 3,187,948         | -                | 4,031,251         |
| სავაჭრო ვალდებულებები          | 1,387,267        | 6,004,538         | 249,988          | 7,641,793         |
|                                | <b>2,230,570</b> | <b>9,192,486</b>  | <b>249,988</b>   | <b>11,673,044</b> |

|                              |                  |                  |                  |                  |
|------------------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b> | <b>(324,965)</b> | <b>1,633,190</b> | <b>2,774,985</b> | <b>4,083,210</b> |
|------------------------------|------------------|------------------|------------------|------------------|

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                | ლარი             | დოლარი            | ევრო             | სულ               |
|--------------------------------|------------------|-------------------|------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                  |                   |                  |                   |
| სავაჭრო მოთხოვნები             | 1,977,947        | 6,475,737         | 78,715           | 8,532,399         |
| ფული და ფულის<br>ეკვივალენტები | 3,274,959        | 5,891,198         | 8,389            | 9,174,546         |
|                                | -                | 124,289           | -                | 124,289           |
|                                | <b>5,252,906</b> | <b>12,491,224</b> | <b>87,104</b>    | <b>17,831,234</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                  |                   |                  |                   |
| მიღებული სესხები               | -                | 204,727           | 561,048          | 765,775           |
| სავაჭრო ვალდებულებები          | 1,422,587        | 7,140,900         | 137,253          | 8,700,740         |
|                                | <b>1,422,587</b> | <b>7,345,627</b>  | <b>698,301</b>   | <b>9,466,515</b>  |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>   | <b>3,830,319</b> | <b>5,145,597</b>  | <b>(611,197)</b> | <b>8,364,719</b>  |

#### 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

|                                | ლარი             | დოლარი           | ევრო             | სულ               |
|--------------------------------|------------------|------------------|------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                  |                  |                  |                   |
| სავაჭრო მოთხოვნები             | 1,978,242        | 1,979,387        | 171,898          | 4,129,527         |
| ფული და ფულის<br>ეკვივალენტები | 1,990,689        | 5,392,563        | 1,465,092        | 8,848,344         |
|                                | -                | 259,375          | -                | 259,375           |
|                                | <b>3,968,931</b> | <b>7,631,325</b> | <b>1,636,990</b> | <b>13,237,246</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                  |                  |                  |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები          | 1,078,857        | 5,713,796        | 100,285          | 6,892,938         |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>   | <b>2,890,074</b> | <b>1,917,529</b> | <b>1,536,705</b> | <b>6,344,308</b>  |

#### სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

|                                       | 31 დეკემბერი 2018 |           | 31 დეკემბერი 2017 |           | 1 იანვარი 2017 |           |
|---------------------------------------|-------------------|-----------|-------------------|-----------|----------------|-----------|
| სავალუტო რისკის<br>მგრძნობელობა       | +20%              | -20%      | +20%              | -20%      | +20%           | -20%      |
| აშშ დოლარის ეფექტი<br>მოგება/(ზარალი) | 326,638           | (326,638) | 973,667           | (973,667) | (163,914)      | 163,914   |
| ევროს ეფექტი<br>მოგება/(ზარალი)       | 554,997           | (554,997) | (122,239)         | 122,239   | 307,341        | (307,341) |

#### საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ჯგუფს მიღებული სესხები აქვს აღებული ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებულ შესაძლო რისკები მისაღებ დონემდეა შემცირებული.

#### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადა არის ერთ წლამდე. ლიკვიდურობის სხვაობა 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 4,071,557, 8,341,562 და 6,315,337 (ფინანსური აქტივები აღემატება ფინანსურ ვალდებულებებს) ლარს, შესაბამისად.

#### კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.



#### 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

#### 5. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება

ცვლილებები სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

ჯგუფმა ასახა 2017 წლის 1 იანვრისთვის მარაგების ინვენტარიზაციის შედეგები. ამ ფაქტმა გამოიწვია 2017 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების ცვლილება. სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                               | <u>გადაანგარიშებამდე</u> | <u>კორექტირება</u> | <u>გადაანგარიშებული</u> |
|-------------------------------|--------------------------|--------------------|-------------------------|
| <b>1 იანვარი 2017</b>         |                          |                    |                         |
| მარაგები                      | 16,299,773               | (2,737,099)        | 13,562,674              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 9,630,037                | (2,737,099)        | 6,892,938               |
| <b>31 დეკემბერი 2017</b>      |                          |                    |                         |
| მარაგები                      | 11,720,234               | (277,261)          | 11,442,973              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 8,978,001                | (277,261)          | 8,700,740               |

## 6. ამონაგები

დეზაგრეგირებული ამონაგები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                | 2018               | 2017               |
|--------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>დროის გარკვეულ მომენტში</b> |                    |                    |
| საქონლის გაყიდვიდან            | 108,696,810        | 122,283,515        |
| მომსახურების გაწევიდან         | -                  | 3,922,688          |
|                                | <b>108,696,810</b> | <b>126,206,203</b> |
| <b>დროთა განმავლობაში</b>      |                    |                    |
| მომსახურების გაწევიდან         | 6,369,821          | 843,520            |
|                                | <b>115,066,631</b> | <b>127,049,723</b> |

ძირითადად მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არის ერთ წლამდე ვადით, შედეგად ჯგუფი იყენებს ფასს 15-ის 121 (ა)(ბ) პუნქტებში მოცემულ შეღავათს და არ განმარტავს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებებს.

- შესასრულებელი ვალდებულება ისეთი ხელშეკრულების ნაწილია, რომლის თავდაპირველი მოსალოდნელი ვადა არ აღემატება ერთ წელს; ან
- საწარმო შესასრულებელი ვალდებულების დაფარვის შედეგად ამონაგებს აღიარებს 816 პუნქტის შესაბამისად

სახელშეკრულებო ვალდებულებების შეჯერება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                                                                | 2018             | 2017             |
|------------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>1 იანვარი</b>                                                                               | <b>7,468,742</b> | <b>5,453,955</b> |
| სახელშეკრულებლო ვალდებულებებში მოცემული თანხები, რომლებიც აღიარდა შემოსავლად წლის განმავლობაში | (7,468,742)      | (5,453,955)      |
| მიღებული ანაზღაურება ავანსად, რომელიც არ აღიარებულა შემოსავლად წლის განმავლობაში               | 9,033,849        | 7,468,742        |
| <b>31 დეკემბერი</b>                                                                            | <b>9,033,849</b> | <b>7,468,742</b> |

## 7. გაყიდვის თვითღირებულება

|                                                | 2018                | 2017                 |
|------------------------------------------------|---------------------|----------------------|
| <b>რეალიზებული საქონლის თვითღირებულება</b>     |                     |                      |
| მარაგები                                       | (85,069,982)        | (99,855,508)         |
| საგარანტიო ანარიცხები                          | (42,140)            | (199,210)            |
| სხვა                                           | (310,048)           | (124,718)            |
|                                                | <b>(85,422,170)</b> | <b>(100,179,436)</b> |
| <b>რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება</b> |                     |                      |
| ხელფასები                                      | (2,824,352)         | (2,094,682)          |
| ქვეკონტრაქტორები                               | (1,510,372)         | (1,373,802)          |
| მარაგები                                       | (888,643)           | (146,032)            |
| სხვა                                           | (917,044)           | (129,133)            |
|                                                | <b>(6,140,411)</b>  | <b>(3,743,649)</b>   |
| <b>სულ გაყიდვის თვითღირებულება</b>             | <b>(91,562,581)</b> | <b>(103,923,085)</b> |

## შპს იუ-ჯი-თი ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

#### 8. სხვა შემოსავალი



|                                                  | 2018           | 2017           |
|--------------------------------------------------|----------------|----------------|
| მიღებული ფასდაკლება გადახდილი ვალდებულებებისთვის | 440,089        | 445,933        |
| საგარანტიო ანარიცხების ამობრუნება                | 136,746        | -              |
| პროფესიული მომსახურება                           | 162,670        | -              |
| სხვა                                             | 124,193        | 80,001         |
|                                                  | <b>863,698</b> | <b>525,934</b> |

#### 9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                      | 2018                | 2017               |
|--------------------------------------|---------------------|--------------------|
| თანამშრომელთა სარგებელი              | (6,443,020)         | (4,682,127)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                 | (885,792)           | (614,775)          |
| *იახტის მოვლის და შენახვის ხარჯები   | (648,050)           | -                  |
| პროფესიული მომსახურება               | (442,669)           | (212,689)          |
| იჯარა                                | (392,810)           | (362,672)          |
| მივლინება                            | (113,181)           | (384,436)          |
| საწვავი და სხვა სატრანსპორტო ხარჯები | (208,009)           | (177,643)          |
| სხვა                                 | (1,043,995)         | (535,632)          |
|                                      | <b>(10,177,526)</b> | <b>(6,969,974)</b> |

\*ჯგუფმა 2018 წელს საკუთრებაში არსებულ იახტებზე ჩაატარა სარემონტო სამუშაოები და მოახდინა მათი გაუმჯობესება.

უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპენსაციები განმარტებულია მე-19 შენიშვნაში

#### 10. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები

|                           | 2018               | 2017               |
|---------------------------|--------------------|--------------------|
| ხელფასები და ბონუსები     | (6,416,878)        | (3,893,137)        |
| ტრენინგები                | (572,160)          | (241,398)          |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | (502,929)          | (75,546)           |
| იჯარა                     | (76,210)           | (53,980)           |
| საწევრო                   | (71,673)           | (45,456)           |
| რეკლამის ხარჯი            | (63,227)           | (45,158)           |
| სხვა                      | (98,718)           | (92,691)           |
|                           | <b>(7,801,795)</b> | <b>(4,447,366)</b> |

#### 11. წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი

ჯგუფის ყველა წევრი კომპანია აღრიცხვას ახორციელებს ქართულ ლარში, გარდა EuroMarine Group Tersanecilik Sanayi და EuroMarine Group, რომლებიც აღრიცხვას ახორციელებენ დოლარში და ევროში, შესაბამისად. ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი, რაც გულისხმობს, რომ ოპერაციები სხვა ვალუტაში, გარდა ლარისა, წარმოადგენენ უცხოური ვალუტით შესრულებულ ოპერაციებს.

ჯგუფის წევრი კომპანიები, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ წარსადგენი ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ყველა აქტივს და ვალდებულებას გადაანგარიშებენ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღის კურსით, მეწილეების კაპიტალი არის გადაანგარიშებული ისტორიულ კურსით, ხოლო შემოსავლები და ხარჯები გადაანგარიშებულია წლის საშუალო კურსის გამოყენებით.

## შპს იუ-ჯი-თი ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

### 12. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება             | მიწა           | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ავეჯი და<br>საოფისე<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | სხვა          | სულ              |
|----------------------------------|----------------|-----------------------|-------------------------|----------------------------------|-----------------------------|----------------------------------------------|---------------|------------------|
| <b>2017 წლის 1 იანვარი</b>       | <b>647,760</b> | <b>2,562,863</b>      | <b>20,563</b>           | <b>1,744,514</b>                 | <b>375,997</b>              | <b>139,252</b>                               | <b>78,085</b> | <b>5,569,034</b> |
| შემოსვლა                         | -              | -                     | 1,406,827               | 956,241                          | 18,044                      | 390,357                                      | 132           | 2,771,601        |
| გასვლა                           | -              | -                     | -                       | (49,603)                         | (15,160)                    | -                                            | -             | (64,763)         |
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>647,760</b> | <b>2,562,863</b>      | <b>1,427,390</b>        | <b>2,651,152</b>                 | <b>378,881</b>              | <b>529,609</b>                               | <b>78,217</b> | <b>8,275,872</b> |
| შემოსვლა                         | -              | -                     | 60,181                  | 583,574                          | 71,691                      | 461,769                                      | 14,660        | 1,191,875        |
| გასვლა                           | -              | -                     | -                       | (81,499)                         | (16,593)                    | -                                            | (79,258)      | (177,350)        |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>647,760</b> | <b>2,562,863</b>      | <b>1,487,571</b>        | <b>3,153,227</b>                 | <b>433,979</b>              | <b>991,378</b>                               | <b>13,619</b> | <b>9,290,397</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>           |                |                       |                         |                                  |                             |                                              |               |                  |
| <b>2017 წლის 1 იანვარი</b>       | -              | (431,242)             | (11,609)                | (1,469,779)                      | (142,560)                   | (68,178)                                     | (76,940)      | (2,200,308)      |
| ცვეთა                            | -              | (51,288)              | (79,341)                | (310,733)                        | (48,511)                    | (78,762)                                     | (994)         | (569,629)        |
| გასვლა                           | -              | -                     | -                       | 48,629                           | 15,160                      | -                                            | -             | 63,789           |
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>    | -              | (482,530)             | (90,950)                | (1,731,883)                      | (175,911)                   | (146,940)                                    | (77,934)      | (2,706,148)      |
| ცვეთა                            | -              | (51,288)              | (149,977)               | (436,999)                        | (48,316)                    | (152,255)                                    | (6,443)       | (845,278)        |
| გასვლა                           | -              | -                     | -                       | 81,499                           | 8,194                       | -                                            | 71,752        | 161,445          |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>    | -              | (533,818)             | (240,927)               | (2,087,383)                      | (216,033)                   | (299,195)                                    | (12,625)      | (3,389,981)      |
| <b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b> |                |                       |                         |                                  |                             |                                              |               |                  |
| <b>2017 წლის 1 იანვარი</b>       | <b>647,760</b> | <b>2,131,621</b>      | <b>8,954</b>            | <b>274,735</b>                   | <b>233,437</b>              | <b>71,074</b>                                | <b>1,145</b>  | <b>3,368,726</b> |
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>647,760</b> | <b>2,080,333</b>      | <b>1,336,440</b>        | <b>919,269</b>                   | <b>202,970</b>              | <b>382,669</b>                               | <b>283</b>    | <b>5,569,724</b> |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>647,760</b> | <b>2,029,045</b>      | <b>1,246,644</b>        | <b>1,065,844</b>                 | <b>217,946</b>              | <b>692,183</b>                               | <b>994</b>    | <b>5,900,416</b> |

ჯგუფი ფლობს 650კვ.მ მიწას და 1,630 კვ.მ შენობას თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზირი N17.



### 13. არამატერიალური აქტივები

| ისტორიული ღირებულება      | გამოყენების<br>უფლება * | სხვა      | სულ       |
|---------------------------|-------------------------|-----------|-----------|
| 2017 წლის 1 იანვარი       | -                       | 128,568   | 128,568   |
| შემოსვლა                  | 943,179                 | 28,001    | 971,180   |
| 2017 წლის 31 დეკემბერი    | 943,179                 | 156,569   | 1,099,748 |
| შემოსვლა                  | -                       | -         | -         |
| 2018 წლის 31 დეკემბერი    | 943,179                 | 156,569   | 1,099,748 |
| დაგროვილი ცვეთა           |                         |           |           |
| 2017 წლის 1 იანვარი       | -                       | (98,942)  | (98,942)  |
| ამორტიზაცია               | (20,303)                | (24,843)  | (45,146)  |
| 2017 წლის 31 დეკემბერი    | (20,303)                | (123,785) | (144,088) |
| ამორტიზაცია               | (36,749)                | (3,765)   | (40,514)  |
| 2018 წლის 31 დეკემბერი    | (57,052)                | (127,550) | (184,602) |
| ნეტო საბალანსო ღირებულება |                         |           |           |
| 2017 წლის 1 იანვარი       | -                       | 29,626    | 29,626    |
| 2017 წლის 31 დეკემბერი    | 922,876                 | 32,784    | 955,660   |
| 2018 წლის 31 დეკემბერი    | 886,127                 | 29,019    | 915,146   |

\*2017 წლის აპრილში ჯგუფმა ანტალიის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შეისყიდა 25 წლიანი საქმიანობის ლიცენზია, რომელიც დაკავშირებულია იახტების იჯარასთან, რემონტთან და წარმოებასთან. ასევე უზუფრუქტის უფლება 2 მენობაზე ანტალიის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.

### 14. მარაგები

|                         | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 | 1 იანვარი<br>2017 |
|-------------------------|----------------------|----------------------|-------------------|
| იახტები                 | 11,798,200           | 4,513,438            | 4,513,438         |
| კომპიუტერული ტექნიკა    | 3,237,440            | 2,700,417            | 3,141,742         |
| საქონელი გზაში          | 1,684,171            | 1,331,185            | 3,547,676         |
| გენერატორები            | 1,186,569            | 446,932              | 145,269           |
| ქსელური მოწყობილობები   | 716,030              | 623,032              | 664,730           |
| საბანკო ინვენტარი       | 332,889              | 260,318              | 348,849           |
| პრინტერები და კარტრიჯი  | 332,452              | 917,346              | 68,644            |
| დაუსრულებელი მშენებლობა | 190,777              | -                    | -                 |
| ფილტრები/პანელები       | 53,866               | 60,623               | 42,812            |
| სხვა                    | 780,691              | 589,682              | 1,089,514         |
|                         | 20,313,085           | 11,442,973           | 13,562,674        |

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოფასდა მარაგები, ჩამოფასების ღირებულებამ შეადგინა 173,416, 494,942 და 467,095 ლარი, შესაბამისად.

### 15. სავაჭრო მოთხოვნები

| ფინანსური აქტივები, სავაჭრო მოთხოვნები: | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 | 1 იანვარი<br>2017 |
|-----------------------------------------|----------------------|----------------------|-------------------|
| დაკავშირებულ მხარეებთან                 | -                    | 2,317                | 18,081            |
| სხვა                                    | 8,381,754            | 8,530,082            | 4,111,446         |
|                                         | <b>8,381,754</b>     | <b>8,532,399</b>     | <b>4,129,527</b>  |

ჯგუფი არ ფლობს რაიმე სახის უზრუნველყოფას. ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, სავაჭრო მოთხოვნები არ იყო ვადაგადაცილებული და გაუფასურებული 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ჯგუფმა გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9-ის 85.5.50 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფის მომხმარებლებზე.

### 16. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                   | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 | 1 იანვარი<br>2017 |
|-----------------------------------|----------------------|----------------------|-------------------|
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე | 4,324,276            | 4,995,434            | 3,522,897         |
| დეპოზიტი*                         | 3,038,571            | 4,155,955            | 5,296,476         |
| ფული სალაროში                     | 11,653               | 23,157               | 28,971            |
|                                   | <b>7,374,500</b>     | <b>9,174,546</b>     | <b>8,848,344</b>  |

\* ჯგუფს ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში განთავსებული აქვს უვადო დეპოზიტი ლარში. ჯგუფს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დეპოზიტი ისე რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი (2%) არ შემცირდეს.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

### 17. მიღებული სესხები

|              | დასრულების<br>თარიღი | ვალუტა     | განაკვეთი | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|--------------|----------------------|------------|-----------|----------------------|----------------------|
| დამფუძნებელი | 1 იანვარი 2020       | აშშ დოლარი | 12%       | 3,187,948            | 204,727              |
| დამფუძნებელი | 1 იანვარი 2020       | ევრო       | 12%       | 843,303              | 561,048              |
|              |                      |            |           | <b>4,031,251</b>     | <b>765,775</b>       |

ჯგუფი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ ფლობს სასესხო ვალდებულებებს.

მიღებული სესხების რეკონსილაცია ფინანსური ოპერაციებიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                          |                  |                |
|--------------------------|------------------|----------------|
| <b>1 იანვარი</b>         | <b>765,775</b>   | <b>-</b>       |
| <b>ფულადი მუხლები</b>    |                  |                |
| სესხების ზრდა            | 8,144,095        | 30,099,678     |
| ძირის გადახდა            | (5,147,257)      | (29,238,630)   |
| პროცენტის გადახდა        | (3,355)          | (247,458)      |
| <b>არაფულადი მუხლები</b> |                  |                |
| საპროცენტო ხარჯი         | 207,760          | 73,486         |
| საკურსო სხვაობის ეფექტი  | 64,233           | 78,699         |
| <b>31 დეკემბერი</b>      | <b>4,031,251</b> | <b>765,775</b> |

## შპს იუ-ჯი-თი ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

### 18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 | 1 იანვარი<br>2017 |
|--------------------------------|----------------------|----------------------|-------------------|
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                      |                      |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები          | 6,868,321            | 8,176,305            | 6,892,358         |
| სახელფასო ვალდებულებები        | 773,472              | 524,435              | 580               |
|                                | <b>7,641,793</b>     | <b>8,700,740</b>     | <b>6,892,938</b>  |

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

### 19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                               | დამფუძნებელი | უმაღლესი<br>ხელმძღვანელობა |
|---------------------------------------------------------------|--------------|----------------------------|
| <b>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული<br/>ანგარიშგება</b> |              |                            |
| მიღებული სესხები                                              | (4,031,251)  | -                          |

#### სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

|                                    |           |             |
|------------------------------------|-----------|-------------|
| საპროცენტო ხარჯი                   | (207,760) | -           |
| მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელო | -         | (1,279,006) |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                               | დამფუძნებელი | უმაღლესი<br>ხელმძღვანელობა |
|---------------------------------------------------------------|--------------|----------------------------|
| <b>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული<br/>ანგარიშგება</b> |              |                            |
| სავაჭრო მოთხოვნები                                            | -            | 2,317                      |
| გაცემული სესხები                                              | -            | 124,289                    |
| მიღებული სესხები                                              | (765,775)    | -                          |

#### სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

|                                    |          |             |
|------------------------------------|----------|-------------|
| საპროცენტო შემოსავალი              | -        | 16,131      |
| საპროცენტო ხარჯი                   | (17,303) | -           |
| მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელო | -        | (1,192,961) |

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების და გაცემული სესხების მუხლებში 18,081 და 259,375 ლარი, შესაბამისად.

## 20. პირობითი ვალდებულებები

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

## 21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც დედა კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

დედა კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

იმის შეფასებისას, დედა კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, დედა კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- დედა კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზეგასთან შედარებით;
- დედა კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ დედა კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც დედა კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც დედა კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც დედა კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

### ერთობლივი საქმიანობა

ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას.

ჯგუფი თავის წილს ერთობლივ საქმიანობაში აკლასიფიცირებს როგორც:

- ერთობლივი საწარმო: სადაც ჯგუფს გააჩნია ერთობლივი კონტროლი საქმიანობაზე, აქვს უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე.

## 21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ერთობლივი ოპერაცია: სადაც ჯგუფი რომელიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებს საქმიანობაზე, გააჩნია ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

ერთობლივი საქმიანობის კლასიფიცირებისთვის ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს:

- ერთობლივი საქმიანობის სტრუქტურა;
- განცალკევებული სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- სახელშეკრულებო შეთანხმების პირობები;
- თუ აუცილებელია, სხვა ფაქტორები და გარემოებები.

ჯგუფი ერთობლივ საქმიანობაში წილს აღრიცხავს წილობრივი მეთოდით.

თუ არის საფუძვლიანი რწმუნება რომ ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში არის გაუფასურებული, მაშინ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე იტესტება ისევე როგორც ეს ხდება არაფინანსური აქტივების შემთხვევაში (გარდა მარაგებისა).

### არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

### ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

#### შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფის ძირითადი შემოსავლები მოიცავს:

- კომპიუტერული ტექნიკის, საბანკო და სხვა სახარჯი მარაგების რეალიზაცია;
- კორპორაციული ლიცენზირების, სამონტაჟო, ინსტალაციისა და სხვა ყოველთვიური თუ ერთჯერადი IT მომსახურებების გაწევა;
- ენერგო სისტემებისა და გენერატორების რეალიზაცია და ინფრასტრუქტურული აღჭურვისა და მხარდაჭერის მომსახურება;
- სამედიცინო აპარატურის რეალიზაცია;
- IT ტრენინგების ჩატარება;
- ელექტორული წიგნების რეალიზაცია;
- იახტების მშენებლობა და რეალიზაცია;
- მცურავი საშუალებების შესვლის, დგომის, გასვლის და თანმდევი უზრუნველყოფის მომსახურების გაწევა ქვეიჯარით აღებულ ტერიტორიაზე;

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს მაშინ როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს გადაცემულ პროდუქტზე/მომსახურებაზე. ჯგუფი იყენებს მსჯელობას თუ როდის გადაეცემა მომხმარებელს კონტროლი და აღნიშნულის საფუძველზე აღიარებს ამონაგებს დროის გარკვეულ მომენტში ან დროთა განმავლობაში.

#### ფიზიკური პროდუქტის რეალიზაცია

ფიზიკური პროდუქტის რეალიზაციის შემთხვევაში, ჯგუფი რიგ შემთხვევაში სთავაზობს მომხმარებელს თანმდევი ინსტალაციის ან მონტაჟის მომსახურებას. ამგვარი ინსტალაცია არ გულისხმობს რეალიზებული აქტივის მნიშვნელოვან მოდიფიკაციას ან გარდაქმნას, შესაბამისად ჯგუფისთვის ისინი განცალკევებულ შესასრულებელ ვალდებულებებს წარმოადგენს. ასეთი რეალიზაცია ამონაგებად აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მოხდება კონტროლის გადაცემა.



**21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

დროის ის მომენტი, როდესაც მომხმარებლისთვის ხდება პროდუქტის ფიზიკურად გადაცემა (და ინსტალაცია) და მომხმარებელზე აქტივისგან მისაღები სარგებლის და მისი დაღუპვის რისკი გადადის, ჯგუფისთვის წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ კონტროლის გადაცემის ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია და შესაბამისად ხდება ამონაგების აღიარება.

*ლიცენზიები და სხვა მომსახურება*

კორპორაციული ლიცენზირების მომსახურების შემთხვევაში ჯგუფის მიერ ხდება სხვადასხვა მწარმოებლების პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უფლების ლიცენზიების შერჩევა და მიწოდება. ჯგუფის შესასრულებელ ვალდებულებას ამგვარ შეთანხმებებში წარმოადგენს გამოყენების უფლების გადაცემა. ჯგუფი აფასებს, რომ ამ უფლების გადაცემის მომენტში ასრულებს თავის ვალდებულებებს და გადასცემს მომხმარებელს კონტროლს, შესაბამისად აღიარებს შემოსავალს დროის გარვეულ მომენტში.

სამონტაჟო, ინსტალაციის, კონსალტინგის, მხარდაჭერის, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული და სხვა გაწეული მომსახურებების შემთხვევაში ჯგუფი შემოსავალს აღიარებს დროთა განმავლობაში, კონტროლის გადაცემის პარარელურად. აღნიშნულის შესაფასებლად

ჯგუფი იყენებს მსჯელობას. ჯგუფის მიერ შეთავაზებული სერვისების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ისეთ სერვისებზე კონტროლის გადაცემა, როგორიცაა მაგალითად კონსალტინგი, IT ტრენინგები, მხარდაჭერა და მცურავი საშუალებების შესვლის, დგომის და თანმდევი უზრუნველყოფის მომსახურება, ხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ვინაიდან მომხმარებელი იღებს და მყისიერად მოიხმარს სარგებელს რომელსაც ჯგუფი მომსახურების გაწევით გადასცემს. ისეთ სერვისებზე კონტროლის გადაცემა, როგორიცაა მაგალითად ინტეგრაცია, ინსტალაცია და მონტაჟი, ხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ვინაიდან ჯგუფის მიერ თავისი შესასრულებელი ვალდებულების შესრულების შედეგად იქმნება ან უმჯობესდება აქტივი, რომელსაც აკონტროლებს მომხმარებელი და გაწეულ მომსახურებაზე კონტროლს მაშინვე მოიპოვებს, როგორც კი აქტივი შეიქმნება ან გაუმჯობესდება.

როდესაც მომსახურება არ სრულდება ერთ საანგარიშო პერიოდში, ჯგუფი ამონაგებს აღიარებს შესრულებული სამუშაოს სტადიის მიხედვით, რაც მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე განისაზღვრება გამოყენებული რესურსების მეთოდით. ეს ითვლება მომსახურების გადაცემის სამართლიან გამოხატვად, რადგან კონტრაქტები თავდაპირველად ფასდება პროექტების დასრულებისთვის მოსალოდნელი ხარჯების საფუძველზე და, შესაბამისად, წარმოადგენს იმ თანხას, რომლის მიღების უფლება ჯგუფს ექნებოდა მის მიერ შესრულებული მომსახურებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, რიც შემთხვევაში მომსახურების შესრულება არ არის მოსალოდნელ ხარჯებზე დამოკიდებული და შესრულებული მომსახურების სტადიის დასადგენად გამოიყენება სერვისის შესრულებაზე დახარჯული დღეების შეფარდება მომსახურების დასრულების დღეების მოსალოდნელ საერთო რაოდენობაზე. ეს ითვლება მომსახურების გადაცემის სამართლიან გამოხატვად, რადგან კონტრაქტები თავდაპირველად ფასდება პროექტების დასრულებისთვის მოსალოდნელი დღეების საფუძველზე და, შესაბამისად, წარმოადგენს იმ თანხას, რომლის მიხედვითაც ჯგუფს ექნებოდა უფლება მისი შესრულებიდან გამომდინარე.

*იახტების მშენებლობა და რეალიზაცია*

იახტების მშენებლობის მომსახურების შემთხვევაში ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს დიდი ზომის იახტების აშენებას და მიყიდვას. ჯგუფი კლიენტისგან იღებს შეკვეთას მშენებლობაზე და მისი საქმიანობის შედეგად იქმნება აქტივი, რომლის გამოყენებაც საწარმოს სხვა მიზნებისთვისაც შეუძლია (მაგალითად: მოიძიოს სხვა კლიენტი და დასრულებული იახტა მიყიდოს). ასეთი რეალიზაცია ამონაგებად აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მოხდება კონტროლის გადაცემა. დროის ის მომენტი, როდესაც მომხმარებლისთვის ხდება პროდუქტის ფიზიკურად გადაცემა და მომხმარებელზე აქტივისგან მისაღები სარგებლის და მისი დაღუპვის რისკი გადადის, ჯგუფისთვის წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ კონტროლის გადაცემის ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია და შესაბამისად ხდება ამონაგების აღიარება. ჯგუფს ამ მიმართულებით ჰქონდა ერთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ჯგუფი ავანსად იღებს თანხას შესაბამისი მომსახურების გადაცემამდე 2 წლით ადრე.

ჯგუფი აფასებს ამონაგების თანხას პროდუქტის მიწოდების დროს დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის კალკულაციით, რომელიც დათვლილია იმ საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მოხდებოდა კლიენტისგან ფინანსური სახსრების სესხება.

**21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

ჯგუფი წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა კორპორაციულ ლიცენზირებასთან დაკავშირებული გარიგებებისა, სადაც ჯგუფი უზრუნველყოფს ლიცენზიების კლიენტისთვის მიწოდების ორგანიზებას. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეალიზაციები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზეა წარდგენილი.

რიგ შემთხვევებში ჯგუფის მიერ ხდება პროდუქციის რეალიზაცია გარანტიით, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელს გარანტიის პერიოდში შეკვეთების ან დეფექტური პროდუქციის შეცვლის მომსახურებით თუ რეალიზებული პროდუქტი არ იფუნქციონირებს ისე, როგორც მხარეებს წინასწარ ჰქონდათ განსაზღვრული. ფასს 15-ის მიხედვით, ასეთი გარანტიები არ წარმოადგენს განსხვავებულ შესასრულებელ ვალდებულებას, შესაბამისად მათზე არ ხდება ამონაგების გადანაწილება. ამგვარი ანარიცხები აღიარებულია ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“-ს შესაბამისად.

თუ ჯგუფი ყიდის პროდუქტს მომწოდებლის გარანტიით, რომელზეც საგარანტიო მომსახურების გაწევას ახორციელებს მომწოდებელი, თავისი ავტორიზირებული სერვის ცენტრის საშუალებით, ჯგუფი არ აღიარებს საგარანტიო ანარიცხებს ბასს-37-ის მოთხოვნების შესაბამისად.

**გარიგების ფასის განსაზღვრა**

ჯგუფი ამონაგებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში. მომხმარებლებთან ინდივიდუალურად თანხმდება გადახდის პირობები. ჯგუფს არ აქვს ხელშეკრულებები, რომელიც შეიცავს ცვალებად ანაზღაურებას.

ჯგუფს, გარდა იახტის მშენებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებისა არ აქვს ისეთი ხელშეკრულება სადაც მომსახურების გაწევის/პროდუქციის მიწოდების პერიოდი და მომხმარებლისგან მიღებულ ანაზღაურებას შორის პერიოდი აჭარბებს ერთ წელს. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულების გარდა ჯგუფი არ აკორექტირებს გარიგების ფასს ფულის დროითი ღირებულების გავლენით. ჯგუფს არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

გარიგების ფასის განსაზღვრისას, იახტის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჯგუფი დაპირებული ანაზღაურების ოდენობას აკორექტირებს ფულის დროითი ღირებულების გავლენის გათვალისწინებით, იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ შეთანხმებული გადახდების განხორციელების ვადები (ხელშეკრულებაში აშკარად მითითებული, ან ნაგულისხმევი) მომხმარებელს ან ჯგუფს უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის დაფინანსებით განპირობებული მნიშვნელოვანი სარგებლით.

ჯგუფი დაფინანსების გავლენას (საპროცენტო ამონაგები ან საპროცენტო ხარჯი) ასახავს სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მომხმარებლისგან მიღებული ამონაგებისგან განცალკევებით.

**გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე**

ძირითად შემთხვევაში თითოეული რეალიზებული პროდუქტის/მომსახურების ფასი დაფიქსირებულია ხელშეკრულებაში. შესაბამისად ჯგუფი არ იყენებს მსჯელობას გარიგების ფასის განაწილებაზე პროდუქტის/მომსახურების მიხედვით. როდესაც ხდება ერთზე მეტი პროდუქტის/მომსახურების რეალიზაცია შესაძლებელია შეთანხმების მთლიანი ანაზღაურება განისაზღვროს თითოეული პროდუქტის გასაყიდი ფასების მიხედვით (ყველა პროდუქტი შესაძლებელია იყოს და გაიყიდოს ცალკე).

რიგ შემთხვევაში (მაგალითად თანმდევი მონტაჟი) კონტრაქტიდან ცალსახად არ არის იდენტიფიცირებადი თითოეული პროდუქტის/მომსახურების ღირებულება, თუმცა აღნიშნული ეხება მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებებს, როდესაც ჯგუფი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა შესასრულებელ ვალდებულებას დროის გარკვეულ მომენტში ასრულებს. შესაბამისად ჯგუფი არ იყენებს მსჯელობას გარიგების ფასის გადანაწილებაზე და ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ფასს აღიარებს ამონაგებად კონტროლის გადაცემის მომენტში.

**ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული დანახარჯები**

დანახარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან მოიცავს გაყიდვების, იურიდიული და სხვა დეპარტამენტების თანამშრომლების ფიქსირებულ ხელფასებს.

## 21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღნიშნული დანახარჯები არ არის აღიარებული როგორც აქტივი და აღიარებულია როგორც ხარჯი, რომელიც წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელსაც საწარმო მაინც გასწევდა, იმის მიუხედავად, გაფორმდებოდა თუ არა ხელშეკრულება.

### უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები

#### ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ჯგუფის წევრი კომპანიები, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ წარსადგენი ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ყველა აქტივს და ვალდებულებას გადაიანგარიშებენ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღის კურსით, მეწილეების კაპიტალი არის გადაანგარიშებული ისტორიულ კურსით, ხოლო შემოსავლები და ხარჯები გადაანგარიშებულია წლის საშუალო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობებით გამოწვეული ეფექტი აღიარებულია სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ბასს 21-ის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომლებიც გამოყენებულია სამუშაო ვალუტის გადაყვანისთვის წარსადგენ ვალუტაში წარმოადგენენ:

|                                           | დოლარი | ევრო   | თურქული ლირა |
|-------------------------------------------|--------|--------|--------------|
| გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6766 | 3.0701 | 0.5076       |
| გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.5922 | 3.1044 | 0.6874       |
| გაცვლითი კურსი 2017 წლის 1 იანვრისთვის    | 2.6468 | 2.7940 | 0.7504       |
| საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლისთვის      | 2.5345 | 2.9913 | 0.5380       |
| საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლისთვის      | 2.5086 | 2.8322 | 0.6877       |
| საშუალო გაცვლითი კურსი 2016 წლისთვის      | 2.3667 | 2.6172 | 0.7838       |

#### ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ფლობს მიზნიდან გამომდინარე აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული. ჯგუფი არ ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

#### ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების ზარალები სავაჭრო მოთხოვნებისთვის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9-ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში ჯგუფი ახდენს მოთხოვნის გადაუხდელობის ნაწილის ალბათობის შეფასებას.



**21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

იმისთვის, რომ ჯგუფმა განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმოშობილი დეფოლტის შემთხვევაში.

დროთა განმავლობაში ჯგუფი აწარმოებს მოლაპარაკებებს მომხმარებლებთან მოთხოვნების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ვისთანაც ჯგუფს ადრე კარგი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ასეთი მოლაპარაკებები დაკავშირებულია გადახდის პირობების გაუმჯობესებასთან და არ ცვლის მისაღები ანაზღაურების ოდენობას. ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და საბალანსო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

**ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს ჯგუფი ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. ჯგუფი არ ფლობს სხვა ფინანსურ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

**სხვა ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

**ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

**21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)****რეალური ღირებულებით შეფასება.**

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

**დაბეგვრა****მიმდინარე მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

**გადასახადები მოგების გადასახადის გარდა**

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა სრულად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.



## 21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიწას არ ერიცხება ცვეთა. ცვეთის ხარჯის დაანგარიშება, ყველა ჯგუფის ძირითადი საშუალებისთვის ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

|                                    | სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები) |
|------------------------------------|----------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები                  | 50                                     |
| მანქანა-დანადგარები                | 5-10                                   |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა        | 3-5                                    |
| ავტომობილები                       | 7                                      |
| იჯარით აღებული ოფისის კეთილმოწყობა | 3-5                                    |
| სხვა                               | 3-7                                    |

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ჯგუფი ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადის ან აქტივებიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მიღების სტრუქტურის ცვლილების შემთხვევაში ხდება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის ცვლილება, შესაბამისად, და ეს ცვლილებები აისახება სააღრიცხვო შეფასებებში. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხარჯების კატეგორიაში, არამატერიალური აქტივების ფუნქციის შესაბამისად.

ქვემოთ იხილეთ არამატერიალური აქტივების კატეგორიების მიხედვით სასარგებლო მომსახურების ვადები:

|                    | სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები) |
|--------------------|----------------------------------------|
| გამოყენების უფლება | 10-25                                  |
| სხვა               | 3-5                                    |

### მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და დაბრუნებადი გადასახადები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯებში. ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ჯგუფი მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

### გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს გრძელვადიანი აქტივების (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები) საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.

**21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

**მიღებული ფასდაკლება**

ჯგუფი ჩვეულებრივი საქმიანობის დროს იღებს შემდეგი სახის ფასდაკლებებს:

სავაჭრო ფასდაკლებები დამოკიდებულია პერიოდის განმავლობაში გარკვეული რაოდენობის პროდუქციის შესყიდვის ან გაყიდვის სხვადასხვა პირობებზე. ასეთი ფასდაკლებები ამცირებს მარაგის თვითღირებულებას ან პირდაპირ რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას.

ფასდაკლებები დამოკიდებული სავაჭრო ვალდებულებების გადახდებზე. ასეთი ფასდაკლებები აღიარებულია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავალი.

**საწესდებო კაპიტალი**

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესვებულია დამფუძნებლების მიერ.

**საოპერაციო იჯარა**

სადაც ჯგუფი არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**ხელფასები და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად აღიარებულ შემოსავლებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

## 21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

### ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის, დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს ჯგუფს, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) ჯგუფში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის ჯგუფის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

### ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ განმარტებულია, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში. თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოხდება, მაშინ აქტივები და მასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც მოხდა შეფასებების ცვლილება.

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამოქმნილი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

## 22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ჯგუფი იყო სასამართლო დავის მომჩივანი მხარე. დავის წარმოშობის მიზეზი არის 2018 წლის 31 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება ჯგუფსა და სს „საქართველოს ელექტრო სისტემა“-ს შორის, რომლის მიხედვითაც ჯგუფს უნდა მიეწოდებინა სს „საქართველოს ელექტრო სისტემა“-სთვის ძალოვანი ტრანსფორმატორი, რომლის ტრანსპორტირების შემდეგ სს „საქართველოს ელექტრო სისტემა“-მ უარი თქვა ძალოვანი ტრანსფორმატორის ჩაბარებაზე, ნივთობრივი ნაკლოვანების მოტივით. შესაბამისად არ ჯგუფს არ გადაუხადა ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება, რომელიც შეადგენს 279,436 აშშ დოლარს (მთლიანი ანაზღაურების 60%), რომელზეც მიმდინარეობდა დავა. 2019 წლის აპრილში ჯგუფსა და სს „საქართველოს ელექტრო სისტემა“-ს შორის შორის გაფორმდა მორიგების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ჯგუფს დაეკისრა ძალოვანი ტრანსფორმატორის მიწოდება და დამონტაჟება, რის სანაცვლოდაც მან მიიღო კომპენსაცია 245,903 აშშ დოლარი (რომელსაც აკლდება 2,065 ლარი და 15,782 ევრო ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შეუსრულებლობის გამო). ჯგუფმა აღნიშნული მორიგება არ ჩათვალა მაკორექტირებელ მოვლენად და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო მოთხოვნები წარადგინა სრულად სახელშეკრულებო შეთანხმებიდან გამომდინარე.



**შპს იუ-ჯი-თი ჯგუფი და შვილობილი კომპანიები**  
**2018 წლის მმართველობის კონსოლიდირებული**  
**ანგარიშგება**

საქმიანობის მიმოხილვა

თბილისი, 2019



## სარჩევი

|                                                                                              |    |
|----------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ჯგუფის მიმოხილვა .....                                                                       | 37 |
| ჯგუფის სტრუქტურა .....                                                                       | 38 |
| 2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენების მოხლე მიმოხილვა.....                                      | 38 |
| ჰოლდინგის ფარგლებში განვითარების გეგმები.....                                                | 40 |
| შვილობილი კომპანიების მიმოხილვა .....                                                        | 41 |
| ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ .....                                           | 53 |
| მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა .....                                        | 53 |
| არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა.....                                                    | 54 |
| სამუშაო გარემოს უსაფრთხოება.....                                                             | 55 |
| გარემოს დაცვა .....                                                                          | 55 |
| ჯგუფის ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა .....                       | 55 |
| დამატებითი განმარტებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ ..... | 57 |

## ჯგუფის მიმოხილვა

იუ-ჯი-თი ჯგუფი აერთიანებს კომპანიებს, რომლებიც ოპერირებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ჯგუფის სათაო კომპანიას წარმოადგენს შპს „იუ-ჯი-თი ჯგუფი.“ ჰოლდინგის ძირითადი საქმიანობა არის საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანა და დანერგვა. ჰოლდინგის კომპანიების დიდი ნაწილი თანამედროვე ტექნოლოგიებს წერგავს მსხვილ კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში. განსაკუთრებით წარმატებულია ჯგუფის უმსხვილესი შვილობილი კომპანია შპს „იუ-ჯი-თის“ საქმიანობა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური პროდუქტების, სერვისების და გადაწყვეტების მიწოდებაში. შპს „იუ-ჯი-თი“, რომელიც საქმიანობას 1997 წლიდან ეწევა, წარმოადგენს მსოფლიოს უდიდესი ტექნოლოგიური კომპანიების: Microsoft, Oracle, IBM, Cisco, HPE, Dell, HPI, Acer, Calix, Checkpoint, LG, Rittal და კიდევ სხვა მრავალი ცნობილი კომპანიის პარტნიორს საქართველოში. სწორედ მსოფლიო ტექნოლოგიური ლიდერების და კომპანიის საკუთარი კომპეტენცია ქმნის იუ-ჯი-თის და მთლიანად ჯგუფის წარმატების მთავარ ფაქტორს.

ჯგუფის შემადგენლობაში განსხვავებული, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიებთან მჭიდროდ დაკავშირებული ბიზნეს-მიმართულებები შედის. დღეისთვის, ჰოლდინგი 20 კომპანიას აერთიანებს. იუ-ჯი-თი ჯგუფის 300-მდე თანამშრომელი, 20 წლიანი მოღვაწეობით დაგროვილი გამოცდილებით უზრუნველყოს კლიენტების მიერ დასახული ტექნოლოგიური ამოცანების წარმატებით შესრულებას.

2014 წლიდან, ჯგუფს შეემატა საზღვაო ბიზნესის მიმართულება. 2017 წელში დაფუძნდა იახტების მშენებელი და შემკეთებელი ქარხანა, რომელიც მდებარეობს თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იახტების დაპროექტება და მშენებლობა. არსებული კონტრაქტების საფუძველზე, კომპანია აწარმოებს იახტების მშენებლობას, რაც გულისხმობს მშენებლობის სრულ პროცესს - დაპროექტებიდან იახტის სრულად აგებამდე. 2018 წელს, საზღვაო ბიზნესის მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა საქართველოს ფარგლებშიც. კერძოდ, ჯგუფმა დააფუძნა ახალი შვილობილი კომპანია, რომელიც ორიენტირებულია ქალაქ ბათუმის საზღვაო აკვატორიაში ე. წ. Docking მომსახურების მიწოდებაზე, როგორც იახტებისთვის, ასევე სხვადასხვა მცირე ზომის მცურავი საშუალებებისთვის.


ჯგუფის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნესი. აღნიშნული მიმართულებით, 2018 წელს ჯგუფს შეემატა კიდევ ერთი კომპანია, ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო „ნექსიტექი“, რომელიც ორიენტირებულია საქართველოში ისეთი განსხვავებული ტექნოლოგიური სერვისების და პროდუქტების ბაზრის განვითარებაზე, როგორებიცაა: ნივთების ინტერნეტი (IoT), ხელოვნური ინტელექტი (AI) და ბლოკჩეინ-სისტემები.

იუ-ჯი-თი ჯგუფის მთავარ გამოწვევად რჩება არსებული კონკურენტუნარიანი და ეფექტიანი ბიზნეს მოდელის განვითარება, რაც მიზნად ისახავს საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე მოწინავე პოზიციების შენარჩუნებას.

ჯგუფის კომპანიების კონკურენტული უპირატესობაა კარგი რეპუტაცია, მაქსიმალური სიახლოვე კლიენტებთან და ისეთი ინოვაციური გადაწყვეტების პოვნის უნარი, რომელიც კლიენტებს უფრო მეტი სარგებლის მიღებაში ეხმარება. ჯგუფს აქვს განსაკუთრებით ძლიერი კომპეტენციები საინფორმაციო ტექნოლოგიებში. ასევე, კარგად ფლობს ბიზნესის მართვის და კლიენტების საქმიანობის სპეციფიკას.

## ჯგუფის სტრუქტურა

ჯგუფი შედგება 20 კომპანიისგან. ქვემოთ იხილეთ შპს იუ ჯი თი ჯგუფის (დედა კომპანია) ორგანიზაციული სტრუქტურა და ასევე ჯგუფში შემავალი კომპანიების ჩამონათვალი:



## 2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენების მოხლე მიმოხილვა

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების, მუდმივად მზარდი კონკურენციის და ცვალებადი ბაზრის პირობებში, ჰოლდინგისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა შეინარჩუნოს და გაიუმჯობესოს პოზიციები. ამ მიზნით, 2018 წელიც არ იყო გამონაკლისი და ჰოლდინგმა წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მოქმედებები განახორციელა. მათ შორის:

- მოხდა ექსკლუზიური საპარტნიორო სტატუსების მიღება, ან განახლება საერთაშორისო კომპანიებისგან, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების, ასევე სხვა მიმართულებით. ესენია:
  - HPE - უმაღლესი საპარტნიორო სტატუსი - პლატინიუმის პარტნიორი (Platinum Partner);
  - LS Retail - ოქროს პარტნიორი (Gold Partner);
  - SAP - პარტნიორი ბიზნეს-ანალიტიკის მიმართულებით (BI (Business Intelligence) Partner);
  - Checkpoint - უმაღლესი, ოთხი ვარსკვლავის მქონე პარტნიორი;
  - Huawei - სერვის ცენტრის სტატუსი ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით.

## 2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვა (გაგრძელება)

- დაინერგა პროექტების დაგეგმვის და მართვის ახალი სისტემა. დაინერგა საპროექტო ჭრილში ბალანსის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების სისტემა. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს უფრო ეფექტიანად ვმართოთ და გავაუმჯობესოთ პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესები.

- განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტები. მათ შორის:

- პირველკლასელთათვის განკუთვნილი 55 000 ცალი პორტაბელური კომპიუტერის მიწოდება საქართველოს მასშტაბით;

- სასტუმრო "რადისონ წინანდალში" თანამედროვე ტექნოლოგიური გადაწყვეტების დანერგვა;

- კომპანია ელიტ-ელექტრონიკსში საცალო ვაჭრობის მართვის ERP სისტემა LS NAV-ის დანერგვა.

- როგორც ჯგუფის აქტივობების აღიარება, მიღებულ იქნა სხვადასხვა ჯილდოები, მათ შორის:

- შპს იუჯითის IT უსაფრთხოების მსოფლიო ლიდერი კომპანია Checkpoint Software Technologies-საგან ზედიზედ მეორედ, ჯილდო - საუკეთესო გაყიდვები ენტერპრაიზში (Best Sales in Enterprise);

- შპს იუჯითიმ კომპანია Microsoft-საგან, ჯილდო - წლის საუკეთესო პარტნიორი საქართველოში.

- შეიქმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის მასშტაბური პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავს, ნებისმიერი მასშტაბის კომპანიებს შესთავაზოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების და მხარდაჭერის აუტოსორსინგი და საკონსულტაციო მომსახურება. დაგროვილი გამოცდილება, კომპეტენციები და ძლიერი გუნდი შესაძლებლობას გვაძლევს კლიენტებს შევთავაზოთ ნებისმიერი სირთულის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი გარემოს მხარდაჭერა. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, სერვისების ჩამონათვალი მოიცავს კომპიუტერების და პერიფერიული ტექნიკის, სერვერული ინფრასტრუქტურის, ქსელის და ავტომატიზებული სისტემების მხარდაჭერას. მხარდაჭერის პროცესის წარმართვა ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცესების მართვის თანამედროვე სტანდარტებით, რაც საშუალებას იძლევა მომსახურება განხორციელდეს ოპტიმალური რესურსებით. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში ხორციელდება შემდეგი სერვისის მიწოდება:

IT პროცესების ადმინისტრირების მხრივ:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორის (CIO) ფუნქციების დელეგირება;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მენეჯმენტის დელეგირება;

3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის დელეგირება;

მონაცემთა დამუშავების ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის მხრივ:

4. მონაცემთა ბაზების მართვა (მათ შორის სარეზერვო ასლების მართვა);

5. სასერვერო ინფრასტრუქტურის რესურსების მენეჯმენტი;

ქსელური ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის მხრივ:

6. ფიზიკური ქსელის (მათ შორის WIFI-ს) მხარდაჭერა;

7. ლოგიკური ქსელის (მათ შორის VPN-ის) ადმინისტრირება და მხარდაჭერა;

8. ქსელური უსაფრთხოების სისტემების (მაგ: firewall, Proxy) ადმინისტრირება და მხარდაჭერა;

IT აპარატურის მხარდაჭერის მხრივ:

9. კომპიუტერული და პერიფერიული ტექნიკის, ნებისმიერი ტიპის ოპერაციული სისტემის და სამომხმარებლო პროგრამული უზრუნველყოფების (მაგ: MS Office, Adobe Photoshop და ა. შ.) მხარდაჭერა;

10. კომპიუტერული და პერიფერიული ტექნიკის შეკეთება;

IT სისტემების მხარდაჭერის მხრივ:

11. Active Directory-ს ადმინისტრირება და მხარდაჭერა;

## 2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვა (გაგრძელება)

12. VOIP სატელეფონო სისტემის ადმინისტრირება და მხარდაჭერა;
  13. ანტივირუსული გადაწყვეტილებების ადმინისტრირება და მხარდაჭერა;
  14. კორპორაციული ელ-ფოსტის ადმინისტრირება და მხარდაჭერა;
  15. კორპორაციული სასაუბროს (Chat) ადმინისტრირება და მხარდაჭერა;
  16. ფაილ სერვერის ადმინისტრირება და მხარდაჭერა;
  17. ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის ადმინისტრირება და მხარდაჭერა;
  18. DLP (Data loss prevention) სისტემის ადმინისტრირება და მხარდაჭერა;
  19. SIEM (Security information and event management) სისტემის ადმინისტრირება და მხარდაჭერა;
- IT სერვისების უწყვეტობის მართვის მხრივ:
20. IT სერვისების უწყვეტობის გეგმის ტესტირება;
  21. IT სერვისების Disaster Recovery გეგმის ტესტირება;
  22. IT სერვისების უწყვეტობის კონტროლის მექანიზმების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
  23. IT სერვისების უწყვეტობის საკონსულტაციო მომსახურება.

## ჰოლდინგის ფარგლებში განვითარების გეგმები

ინფორმაციული ტექნოლოგიების (იტ) სისტემების და მონაცემების დაცულ გარემოში განთავსება მნიშვნელოვანი ამოცანაა. ბიზნესის განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვნად მატულობს ინფორმაციული რესურსების კრიტიკულობა. ასევე, მუდმივად საჭიროა უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა. როდესაც მონაცემთა უსაფრთხოებაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება როგორც ფიზიკური დაცულობის, ასევე ვირტუალურ გარემოში რესურსების ლოგიკური დაცვის აუცილებლობა. ფიზიკური უსაფრთხოების საკითხების გადაჭრა მონაცემთა დამუშავების ცენტრების დახმარებით ხდება. კერძოდ, უნდა მოეწყოს სპეციალური დაცვის საშუალებებით აღჭურვილი ფიზიკური გარემო, სადაც განთავსდება სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა. ამასთან, მონაცემთა დამუშავების ცენტრების ინფრასტრუქტურის მაღალი მდგრადობის მიზნით უნდა ხდებოდეს რესურსების მიწოდების წყაროების დუბლირება.

ჯგუფის ფარგლებში, 2018 წელს საფუძველი ჩაეყარა მონაცემთა დამუშავების ცენტრის პროექტს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება შესაბამისი სტანდარტების დაცვით აგებულ მონაცემთა დამუშავების ცენტრში კლიენტების საინფორმაციო რესურსების განთავსება და მომსახურება. მონაცემთა დამუშავების ცენტრი აღჭურვილი იქნება როგორც ფიზიკური უსაფრთხოების მრავალი საშუალებით, ასევე ცენტრში უზრუნველყოფილი იქნება ყველა საჭირო რესურსის დუბლირებული წყარო. ჩვენი სერვისი დაფუძნებულია Microsoft Azure პლატფორმაზე და წარმოადგენს საქართველოში პირველ ღრუბლოვან (Cloud) გადაწყვეტას ლოკალური რესურსების გამოყენებით. ამ გადაწყვეტის გამოყენებით შესაძლებელი ხდება კლიენტებმა გამოიყენონ Azure-თან თავსებადი მრავალრიცხოვანი პროდუქტები ისე, რომ მონაცემების გადატანა არ განხორციელდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამასთან, სერვისი გაცილებით უფრო წარმადი და კომფორტული იქნება, რადგან გამოყენებული იქნება ლოკალური ქსელური შეერთებები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნულ სისტემას არ აქვს რესურსული შეზღუდვები და საჭიროების შემთხვევაში არის შესაძლებლობა გამოყენებულ იქნას Microsoft Azure-ის გლობალური სერვისი კლიენტის საჭიროებების და მოთხოვნების შესაბამისად.

სტანდარტიზებული ინფრასტრუქტურა და ფორმალიზებული ბიზნეს-პროცესები განსაკუთრებით საიმედო სერვისის მიწოდების წინაპირობაა. მომსახურების დაწყებამდე განხორციელდება კლიენტის საჭიროებების გათვალისწინება, ასევე დაეხმარება მოთხოვნების ჩამოყალიბებაში, რის შემდგომაც განხორციელდება კლიენტის რესურსების განთავსება და საჭირო სიმძლავრეების გამოყოფა. შემდგომ ეტაპზე კი, ადმინისტრირება.



## ჰოლდინგის ფარგლებში განვითარების გეგმები (გაგრძელება)

აღნიშნული მიმართულებით იგეგმება შემდეგი სახის გადაწყვეტების შეთავაზება:

- **IaaS (Infrastructure as a Service)** - გარემო უზრუნველყოფილი მხოლოდ სერვერული, მონაცემთა სანახის და ქსელური რესურსებით;
- **PaaS (Platform as a Service)** - გარემო უზრუნველყოფილი სერვერული, მონაცემთა სანახის და ქსელური რესურსებით, რომელსაც თან ახლავს ოპერაციული სისტემა და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა ინფორმაციული ტექნოლოგიების პროდუქტების შესაქმნელად;
- **SaaS (Software as a Service)** - გარემო უზრუნველყოფილი სერვერული, მონაცემთა სანახის და ქსელური რესურსებით, რომელთან ერთად ასევე შესაძლებელია უამრავი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, მათ შორის ისეთი პროდუქტების, რომლებიც არ არის შექმნილი კომპანია Microsoft-ის მიერ.

მონაცემთა დამუშავების ცენტრის სერვისები სრულად კონფიგურირებადი და მართვადი იქნება. კლიენტებს შესაძლებლობა ექნებათ საჭიროებების შესაბამისად შეარჩიონ პროდუქტების პაკეტი და ასევე, შეცვალონ ის ნებისმიერ დროს.

ჯგუფი კლიენტებს შესთავაზებს მოქნილ სატარიფო ინსტრუმენტებს, რომელიც უზრუნველყოფს სერვისის საფასურის გადახდას მხოლოდ გამოყენებული სიმძლავრეების და გამოყენების დროის გათვალისწინებით.

## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა



იუ ჯი თი

### იუ ჯი თი

შპს იუ-ჯი-თი არის იუ-ჯი-თი ჯგუფის შვილობილი კომპანია. იუ-ჯი-თის კაპიტალში წილის 100%-ს იუ-ჯი-თი ჯგუფი ფლობს. შპს იუ-ჯი-თი დაფუძნდა 1997 წელს და 20 წელზე მეტია რეგიონის მსხვილი სისტემური ინტეგრატორია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში. კომპანია IT ინტეგრირებულ გადაწყვეტებს სთავაზობს როგორც მსხვილ და საშუალო ბიზნესს, ისე სახელმწიფო სტრუქტურებს.

იუ-ჯი-თის მისიაა დაეხმაროს სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს, ციფრულ (ტექნოლოგიურ) ტრანსფორმაციასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში. დაარსებიდან დღემდე, იუ-ჯი-თიმ შეძლო გამხდარიყო მსოფლიოს უმსხვილესი IT კომპანიების ბიზნეს პარტნიორი და მათი პროდუქტების მომწოდებელი. მათ შორის, HPE-ის პლატინიუმის პარტნიორი საქართველოში, Microsoft-ის ოქროს პარტნიორი, DELL-ის ოქროს პარტნიორი, Check point-ის საუკეთესო გაყიდვების სტატუსის მქონე პარტნიორი და სხვა.

საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციების რეგიონალურ კონფერენციაზე (GITI) იუ-ჯი-თის ექვსჯერ გადაეცა ჯილდო „წლის საუკეთესო სისტემური ინტეგრატორი“.

კომპანიის კონკურენტული უპირატესობაა კარგი რეპუტაცია, კლიენტების საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება და ისეთი ინოვაციური გადაწყვეტების შეთავაზება, რომლებიც კლიენტებს უფრო მეტი სარგებლის მიღებაში დაეხმარება. კომპანიას აქვს მაღალი კომპეტენცია საინფორმაციო ტექნოლოგიებში არაერთი მნიშვნელოვანი მიმართულებით. ასევე, კარგად ერკვევა IT ბიზნესის მართვის და კლიენტების დარგობრივ სპეციფიკაში.

კომპანიის მიზანია გრძელვადიანი ბიზნეს ურთიერთობების დამყარება, რაც ორმხრივი სარგებლისა და წარმატების მომტანია.

## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)

**ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და უსაფრთხოების სისტემები** - მიმართულება მოიცავს გადაწყვეტებისა და ცალკეული პროდუქტების რეალიზაციას, რომლებიც დაფუძნებულია მოწინავე პროდუქტებსა და ჩვენს კომპეტენციაზე. ინფორმაციული უსაფრთხოების დანაყოფი ორიენტირებულია დანერგოს და გამართოს ფართო სპექტრის ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემები საშუალო და მსხვილი კორპორაციული კლიენტების და სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის. გადაწყვეტების სპექტრი მოიცავს ანტივირუსებს, ფაიროლერებს, უსაფრთხოების ანალიტიკის სისტემებს (SIEM), ბაზების და აპლიკაციების უსაფრთხოების სისტემებს, შიფრაციის, მონაცემთა გაქონვის აღკვეთის სისტემებს და სხვა. მიმართულების მიერ ხდება ისეთი პროდუქტების და სერვისების რეალიზაცია, როგორიცაა სერვერები და მონაცემთა შენახვის სისტემები, საკომუნიკაციო ქსელის გადაწყვეტები, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მართვის სისტემები, სერვერული ცენტრის საინჟინრო სისტემები, საკაბელო და საინჟინრო გადაწყვეტები, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვა და ანალიზი, მონაცემთა უსაფრთხოება, აპლიკაციების უსაფრთხოება, სამუშაო ადგილების დაცვა, იდენტიფიკაცია და წვდომის მართვა. ამ მიმართულებით, მომდევნო სამი წლის განმავლობაში იუ-ჯი-თი გეგმავს საპარტნიორო სტატუსების გაუმჯობესებას, ახალი პარტნიორების დამატებას და თანამშრომელთა კომპეტენციების გაღრმავებას, რაც საშუალებას მისცემს გააუმჯობესოს საბაზრო პოზიციები.

**კორპორაციული ლიცენზირება** - მიმართულება მოიცავს სხვადასხვა მწარმოებლების პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უფლების ლიცენზიების შერჩევას და მიწოდებას. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კომპანიების - Microsoft-ის და Oracle-ის პროგრამული უზრუნველყოფების ლიცენზიების მიწოდებას. 2002 წლიდან, კომპანია იუ-ჯი-თი აქტიურად თანამშრომლობს Microsoft-თან. თანამშრომლობის დაწყებიდან დღემდე, იუ-ჯი-თი არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა სტატუსის მფლობელი. დღეის მდგომარეობით, იუ-ჯი-თი Microsoft Gold Partner სტატუსის მფლობელია. Microsoft-ის პროდუქტთა ფართო სპექტრი საშუალებას იძლევა კლიენტის ყველა ტექნოლოგიური მოთხოვნა და ამოცანა დაკმაყოფილდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი Cloud ტექნოლოგიები, როგორც არის: Microsoft Office 365 (O365) და Microsoft Azure. მათი დახმარებით კლიენტს საშუალება აქვს გამოიყენოს Microsoft-ის ინფრასტრუქტურა ყველა საჭირო ტექნოლოგიური სერვისის მისაღებად.

**პერსონალური სისტემები** - მიმართულება საშუალო და მსხვილ ორგანიზაციებს აწვდის წამყვანი ბრენდების კომპიუტერულ და პერიფერიული ტექნიკას როგორიცაა, პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პლანშეტები, პრინტერები, სკანერები და სხვა.

**გადახდის და ნაღდი ფულის დამუშავების ტექნოლოგიები** - მიმართულების ძირითად ფოკუსს წარმოადგენს კომერციული ბანკების და გადახდის სისტემების შესაბამისი საჭიროებების უზრუნველყოფა ტექნიკით, პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვით და მხარდაჭერით. მიმართულება ახდენს ისეთი პროდუქციისა და სერვისების რეალიზაციას, როგორიცაა ბანკოტების მთვლელები და დეტექტორები, სწრაფი გადახდის აპარატები, სმარტ-სეიფები, ბანკოტების და მონეტების დეპოზიტორები და ა. შ. მიმართულება ასევე უზრუნველყოფს აღნიშნული პროდუქტების ფუნქციონირებისთვის საჭირო მომსახურების მიწოდებას.

**ელექტრობისა და შენობების მართვის სისტემები** - მიმართულება ორიენტირებულია ისეთი პროდუქციის და სერვისების რეალიზაციაზე, როგორიცაა სახლისა და შენობების ავტომატიზაციის სისტემები, ელექტრო კვების და განათების სისტემები, დაშვების სისტემები, ვიდეომონიტორინგის (CCTV) სისტემები, სიგნალიზაცია, სახანძრო სისტემები, მულტიმედია სისტემები, გათბობის, ვენტილაციის, კონდიციონერების და გაგრილების (HVAC) სისტემები.

**ინფორმაციული ტექნოლოგიების (იტ) კონსალტინგი, აუთსორსინგი და ტექნიკური მხარდაჭერა** - მიმართულება ორიენტირებულია ისეთი სერვისების რეალიზაციაზე, როგორიცაა აუთსორსინგული მომსახურება, ინფორმაციული პროცესების ადმინისტრირება, მონაცემთა დამუშავების ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა, ქსელური ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა, აპარატურის მხარდაჭერა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების უწყვეტობის მართვა, ჰოსტინგი, ტექნიკის საგარანტიო სერვის-ცენტრის მომსახურება, მონაცემთა შენახვის ერთიანი სისტემის აუდიტი, ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურაზე გადასვლის ტექნოლოგიური შესაძლებლობების შესწავლა, მონაცემთა ცენტრის საინჟინრო ინფრასტრუქტურის აუდიტი, რეკომენდაციები მოდერნიზებაზე, არსებული ინფორმაციული სისტემების ინვენტარიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიების სიმძლავრეების ადეკვატურობის შეფასება, რისკების შეფასება, ინფორმაციული უსაფრთხოების დონის შეფასება, იტ მმართველობის ჩარჩოს შემუშავება და დანერგვა, ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის აგება, დახმარების სერვისის (Help Desk) მოწყობა, ცვლილებების და კონფიგურაციების მართვის პროცესის მოწყობა, მომსახურების დონის შეთანხმების (SLA) შემუშავება და იტ კუთხით ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემუშავება.

## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)

**ბიზნეს-აპლიკაციები** - მიმართულება ორიენტირებულია ისეთი სისტემების და შესაბამისი ლიცენზიების მიწოდება-დანერგვაზე, როგორიცაა საწარმოო რესურსების მართვა (ERP), კლიენტებთან ურთიერთობის მართვა (CRM), ადამიანური რესურსების მართვა (HRM), დოკუმენტ-მენეჯმენტი (DM), ბიზნეს ანალიტიკა (BI) და სხვა სპეციფიკური პროგრამები, რომლებიც ახდენენ ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციას.

**ტელეკომუნიკაციის ტექნოლოგიები** - მიმართულების მიზანია ხელი შეუწყოს ქართულ სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს ინოვაციური ტექნოლოგიური გადაწყვეტების დანერგვაში, რაც აღნიშნულ კომპანიებს საშუალებას მისცემს მომხმარებლებს შესთავაზონ განახლებული მომსახურება, გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი და შეამცირონ ხარჯები. მიმართულება ახდენს ისეთი სატელეკომუნიკაციო პროდუქციის მიწოდებას, როგორიცაა მონაცემთა გადაცემის სისტემები, კავშირის დაცვის, მონიტორინგის და მართვის სისტემები.

## კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

იუ-ჯი-თი მნიშვნელოვან ძალისხმევას მიმართავს ელექტრობისა და შენობების მართვის თანამედროვე სისტემების განვითარების კუთხით. აყვანილ იქნა შესაბამისი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, შეიქმნა სტრუქტურული ერთეული და ჩატარდა კვლევითი სამუშაოები.

კომპანიამ 2018 წელს დაიწყო უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მონაცემთა დამუშავების ცენტრის აგება. მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება კლიენტების საინფორმაციო რესურსების განთავსება და მომსახურების მიწოდება. აღნიშნული სერვისი დაფუძნებულია Microsoft Azure პლატფორმაზე და წარმოადგენს საქართველოში პირველ ღრუბლოვანი (Cloud) გადაწყვეტას ლოკალური რესურსების გამოყენებით.

2018 წელს შეიქმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის თანამედროვე სერვისები. იგი ნებისმიერი მასშტაბის კომპანიას საშუალებას აძლევს ისარგებლოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების და მხარდაჭერის აუტოსერვისით. ასევე, საკონსულტაციო მომსახურებით. კომპანია კლიენტებს სთავაზობს ნებისმიერი სირთულის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და გარემოს მხარდაჭერას.

კომპანია დიდ ძალისხმევას ახმარს პარტნიორების ბიზნეს-აპლიკაციების შესწავლას, დამუშავებას, საქართველოს ბიზნეს-გარემოზე და საკანონმდებლო მოთხოვნებზე მორგებას. საქართველოს ბაზრისთვის მომზადდება პროდუქტები Microsoft-თან, Oracle-თან, IBM-თან, SAP-სა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად.

## საკონტაქტო ინფორმაცია:

 **მისამართი:** საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ე

 **ტელეფონი:** +995 (32) 2 22 05 05

 **ვებ გვერდი:** [WWW.UGT.GE](http://WWW.UGT.GE)

 **ელ ფოსტა:** [UGT@UGT.GE](mailto:UGT@UGT.GE)

## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)



### დილაინი

შპს დილაინი არის იუჯიტი ჯგუფის შვილობილი კომპანია, რომელიც IT დისტრიბუციის მიმართულებით მუშაობს. ჯგუფი დილაინის კაპიტალში წილის 90%-ს ფლობს. დილაინი დაფუძნდა 2007 წელს და 10 წელზე მეტია ერთ-ერთ ლიდერ IT დისტრიბუტორ კომპანიას წარმოადგენს საქართველოში. დაფუძნების დღიდან კომპანია მის კლიენტებს, სთავაზობს მაღალი ხარისხის IT ტექნიკას. დილაინი გამოირჩევა კლიენტზე ორიენტირებული მიდგომით, რაც გულისხმობს: კლიენტზე მორგებული საკრედიტო ხაზების შეთავაზებას, რეკომენდაციებს პროდუქციის შერჩევისა და დაკომპლექტებაში, პრომო პროგრამების შეთავაზებას, სემინარების და კონფერენციების გამართვას დარგში სიახლეების და სხვა ინფორმაციის გასაცნობად.

დილაინის საპროდუქტო შეთავაზება ფარავს როგორც სამომხმარებლო, ასევე კორპორაციულ სეგმენტებს. სამომხმარებლო მიმართულებით, საპროდუქტო კალათა მოიცავს დესკტოპ კომპიუტერებს, ნოუტბუქებს, All-In-One კომპიუტერებს, პრინტერებს, სკანერებს და სხვა პერიფერიულ მოწყობილობებს, აქსესუარებს და პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს. კორპორაციული მიმართულებით დილაინი კლიენტებს სთავაზობს სერვერებს, მონაცემთა შესანახ (Storage) სისტემებს, ჰიბრიდულ შესანახ სისტემებს (NAS, SAN), კონვერგირებულ ინფრასტრუქტურას, სარეზერვო (Back up) სისტემებს, საქსელო ინფრასტრუქტურას.

დილაინის მომწოდებელი პარტნიორები არიან მსოფლიოში ცნობილი მწარმოებლები, მათ შორის: Hewlett Packard Enterprise, Acer, HP Inc., Microsoft და სხვა.

კომპანიის ხელშეწყობით, დილაინის სპეციალისტები მუდმივად იმაღლებენ კვალიფიკაციას უახლესი IT პროდუქტების მიმართულებით.

დილაინის, როგორც IT დისტრიბუტორი კომპანიის კლიენტები არიან ინფორმაციული ტექნოლოგიის პროდუქტების საცალო სავაჭრო ობიექტები და დილერები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

### საკონტაქტო ინფორმაცია :



მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ე



ტელეფონი: +995 32 2 22 17 39



ვებ გვერდი: [WWW.DELINE.GE](http://WWW.DELINE.GE)



ელ ფოსტა: [CONTACT@DELINE.GE](mailto:CONTACT@DELINE.GE)



### პისიშოპ.ჯი

შპს პისიშოპ.ჯი არის იუ-ჯი-თი ჯგუფის შვილობილი კომპანია კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ტექნიკის საცალო ვაჭრობის მიმართულებით. ჯგუფი პისიშოპ.ჯის კაპიტალში წილის 85%-ს ფლობს.

ათ წელზე მეტია პისიშოპ.ჯი წარმატებით ფუნქციონირების პერსონალური კომპიუტერული ტექნიკის, აქსესუარების და დეტალების საცალო გაყიდვების ბაზარზე. 2005 წელს კომპანია ხსნის მის პირველ კომპიუტერულ მაღაზიას და მოკლე ხანში მომხმარებლებს სთავაზობს ტექნიკის ონლაინ (ინტერნეტ) მაღაზიით შეძენის შესაძლებლობას. გახსნის დღიდან, პისიშოპ.ჯი ერთ-ერთი ლიდერი გახდა კომპიუტერულ მაღაზიებს შორის.

ბოლო წლებში, კომპიუტერულ ტექნიკასთან ერთად, მაღაზიამ დაიწყო მაღალტექნოლოგიური საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაყიდვები და ასევე, კომპიუტერული ტექნიკის მიწოდება მცირე ზომის კომპანიებისთვის.



## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)


პისიშოპ.ჯი ცდილობს მომხმარებლებს შესთავაზოს უახლესი კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები. ამისათვის, კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს ტექნოლოგიურ სიახლეებზე დაკვირვება, როგორც არსებული მომწოდებლების, ისე ახალი და პერსპექტიული მწარმოებლების პროდუქტების სპექტრზე.

ამჟამად, კომპანია წარმოდგენილია ორი მაღაზიით, რომლებიც მდებარეობენ თბილისში, ვაჟა ფშაველას #16ა-ში და მარჯანიშვილის ქ. #2-ში.

### მაღაზია ვაჟა ფშაველას #16ა



### მაღაზია მარჯანიშვილის #2



### საკონტაქტო ინფორმაცია :



**მისამართი:** საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 16ა; მარჯანიშვილის ქუჩა 2.



**ტელეფონი:** +995 32 238-28-92, +995 32 292 19 59



**ვებ გვერდი:** [WWW.PCSHOP.GE](http://WWW.PCSHOP.GE)



**ელ ფოსტა:** [SALES@PCSHOP.GE](mailto:SALES@PCSHOP.GE)



### ენსოლი

შპს ენსოლი არის იუ-ჯი-თი ჯგუფის შვილობილი კომპანია ელექტრო კვების სისტემების და შენობების ინფრასტრუქტურული აღჭურვის სფეროში. დაფუძნდა 2007 წელს. კომპანია ერთ-ერთი ლიდერია ენერგო-ეფექტური გადაწყვეტების რეალიზაციაში იმ ორგანიზაციებისთვის, სადაც გარანტირებული და სტაბილური ელექტრო მომარაგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იგი ასევე ეწევა მაღალი ძაბვის სადისტრიბუციო ინფრასტრუქტურის კომპონენტების რეალიზაციას. კომპანია ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფის ინტეგრირებულ გადაწყვეტებს სთავაზობს როგორც მსხვილ და საშუალო ბიზნესს, ისე სახელმწიფო სტრუქტურებს.

2017 წლამდე, კომპანიის ძირითადი პროფილი იყო ავტონომიური ენერგო სისტემების მიწოდება და მომსახურება. 2017 წლიდან, კომპანიამ დაიწყო ახალი მიმართულებების განვითარება, როგორებიცაა კლიმატ-სისტემები, ლიფტები და ესკალატორები. ენსოლი ახდენს როგორც მათ იმპორტს და რეალიზაციას, ასევე კომერციულ შენობებში ამავე პროფილის ინფრასტრუქტურული სისტემების მომსახურებას.



## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)

საკონტაქტო ინფორმაცია :



მისამართი: საქართველო, თბილისი, ელიზბარ მინდელის ქუჩა N3



ტელეფონი: +995 322 252 399



ვებ გვერდი: [WWW.ENSOL.GE](http://WWW.ENSOL.GE)



ელ ფოსტა: [INFO@ENSOL.GE](mailto:INFO@ENSOL.GE)

## Amper

### ამპერი

შპს ამპერი არის იუ-ჯი-თი ჯგუფის შვილობილი კომპანია ენერგო ინფრასტრუქტურების ტექნიკური მომსახურების მიმართულებით. მისი ძირითადი საქმიანობაა კლიენტებისთვის ტექნიკური მხარდაჭერის სერვისის გაწევა. კომპანია დაფუძნდა 2012 წელს. იუ-ჯი-თი ჯგუფი ამპერის კაპიტალში წილის 75%-ს ფლობს.

კომპანიის ვრცელი ავტოპარკის და ინსტრუმენტალური ბაზის მეშვეობით ხორციელდება საავარიო-სარემონტო და მხარდაჭერის (პროფილაქტიკური) სერვისები ადგილზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დაზიანებული აგრეგატების გადაზიდვა ხდება ცენტრალურ დეპოში, სადაც დამატებითი აღჭურვილობის, მაღალი დონის საზომ-სატესტო მოწყობილობების გამოყენებითა და ტექნიკური ლაბორატორიების მეშვეობით ხორციელდება მაღალი სირთულის ტექნიკური რემონტი, აღდგენითი სამუშაოები და წინა სამონტაჟო-საინსტალაციო მოსამზადებელი ტესტირებები.

### ამპერის ტექნიკური სერვისის დეპო



ორგანიზაცია ორიენტირებულია ტექნიკურ კომპეტენციებზე და შესაბამისად, მუდმივად ახორციელებს საკუთარი პერსონალის ტრენინგს, როგორც საქართველოში მოწვეული სპეციალისტების, ისე უცხოეთში მივლინებების მეშვეობით.

კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტია ცნობილი და პოპულარული ბრენდების ავტორიზებული სერვის-ცენტრების სტატუსების მიღება და პერსონალის სერტიფიცირება.

საკონტაქტო ინფორმაცია :



მისამართი: საქართველო, თბილისი, ელიზბარ მინდელის ქუჩა N3



ტელეფონი: +995 322 560 960



ვებ გვერდი: [WWW.AMPER.GE](http://WWW.AMPER.GE)



ელ ფოსტა: [INFO@AMPER.GE](mailto:INFO@AMPER.GE)

## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)

### Activus

#### აქტივუსი

შპს აქტივუსი არის იუ-ჯი-თი ჯგუფის შვილობილი კომპანია მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აპარატურის და ავეჯის მიწოდების სფეროში. იუ-ჯი-თი ჯგუფი აქტივუსის კაპიტალში წილის 80%-ს ფლობს. კომპანია დაფუძნდა 2013 წელს. დაფუძნებიდან დღემდე, კომპანია ახორციელებს სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო აპარატურისა და სამედიცინო ავეჯის იმპორტს, აპარატურის მონტაჟს, აპარატურის მომსახურე პერსონალის მომზადებას და ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ ტექნიკურ მომსახურებას.

კომპანიას მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს სამედიცინო აპარატურისა და ავეჯის მწარმოებელ მსოფლიოში წამყვან კომპანიებთან.

აქტივუსს პროექტები განხორციელებული აქვს როგორც სახელმწიფო, ისე მსხვილ კერძო კლინიკებში. დღეისთვის, აქტივუსის კლიენტების სიაში რამდენიმე სამხედრო ჰოსპიტალი და მოწინავე კლინიკაა.

**საკონტაქტო ინფორმაცია :**

 **მისამართი:** საქართველო, თბილისი, ელიზბარ მინდელის ქუჩა N3

 **ტელეფონი:** + 995 322 560 570

 **ვებ გვერდი:** [WWW.ACTIVUS.GE](http://WWW.ACTIVUS.GE)

 **ელ ფოსტა:** [INFO@ACTIVUS.GE](mailto:INFO@ACTIVUS.GE)

### LIT.GE



#### ლითერასი

შპს ლითერასი არის იუ-ჯი-თი ჯგუფის შვილობილი კომპანია ელექტრონული წიგნების და გამოცემების სფეროში. იუ-ჯი-თი ჯგუფი ლითერასის კაპიტალში წილის 100%-ს ფლობს. კომპანია დაფუძნდა 2011 წელს. კომპანიის ინტერნეტ მაღაზია [lit.ge](http://lit.ge) მომხმარებლებს სთავაზობს ელექტრონული წიგნების და გამოცემების შეძენის და პირადი ონლაინ ბიბლიოთეკის შექმნის სერვისებს.

[lit.ge](http://lit.ge)-ზე განთავსებული ელექტრონული წიგნების და პერიოდული გამოცემების წაკითხვა შესაძლებელია კომპიუტერებზე, პლანშეტებზე და სმარტფონებზე აპლიკაცია „იოტა რიდერის“ საშუალებით, რომელიც სინქრონიზებულია [lit.ge](http://lit.ge)-ს მომხმარებლის პირად ბიბლიოთეკასთან. ინტერნეტ მაღაზია მომხმარებელს ასევე სთავაზობს წიგნებით სარგებლობის ვადიან სერვისს. ლითერასის ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავს 3500-ზე მეტ წიგნს და გამოცემას.

მომდევნო სამი წლის განმავლობაში იგეგმება ელექტრონული ბიბლიოთეკის 30%-ით გაზრდა, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს კიდევ უფრო გაზარდოს მისი წილი ბაზარზე.

#### ლითერასის ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებ გვერდი



## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)

### საკონტაქტო ინფორმაცია :



მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ე



ტელეფონი: + 995 32 214 66 55



ვებ გვერდი: [WWW.LIT.GE](http://WWW.LIT.GE)



ელ ფოსტა: [INFO@LIT.GE](mailto:INFO@LIT.GE)



### აითი ნოლიჯი

შპს აითი ნოლიჯი არის საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროში ტრენინგების ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია. იგი ორიენტირებულია იტ მენეჯერებზე, იტ სპეციალისტებზე, პროგრამისტებსა და საოფისე პროგრამების მომხმარებლებზე.

კომპანიაში ტრენინგებს ატარებენ Cisco-ს, Microsoft-ის და სხვა ცნობილი ორგანიზაციების ლიცენზირებული სპეციალისტები, რაც იმის გარანტიაა, რომ კლიენტი იმავე ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებას მიიღებს, რაც მოთხოვნილია მწარმოებლების სტანდარტებით (Microsoft, Cisco, HP, Oracle, Linux, Symantec, Check Point, SAP, VMware და სხვ.).

აითი ნოლიჯი მსმენელებს შესაძლებლობას აძლევს ჩააბარონ საერთაშორისო სტანდარტის გამოცდები ისეთი ცნობილი საგამოცდო პროვაიდერების პლატფორმებზე, როგორიცაა Pearson-VUE, Prometric და Certipoint.

იუ-ჯი-თი ჯგუფი აითი ნოლიჯის კაპიტალში 66%-იანი წილის მფლობელია.

სამომავლოდ, კომპანია გეგმავს სერვისების კალათაში ახალი პროდუქტებისა და ტრენინგების დამატებას, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების, ასევე სხვადასხვა სფეროში სპეციალიზებული ტრენინგების მიმართულებით. გეგმის რეალიზაცია კომპანიას საშუალებას მისცემს გაზარდოს მისი წილი ბაზარზე.

### საკონტაქტო ინფორმაცია :



მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ე



ტელეფონი: + 995 32 222 05 85



ვებ გვერდი: [WWW.IT-KNOWLEDGE.GE](http://WWW.IT-KNOWLEDGE.GE)



ელ ფოსტა: [INFO@IT-KNOWLEDGE.GE](mailto:INFO@IT-KNOWLEDGE.GE)

## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)



### კავკასუს იატსი

კომპანია „Caucasus Yachts“ წარმოადგენს პრემიუმ კლასის იახტების, კატერების და საწყლოსნო სპორტის მცურავი საშუალებების მომწოდებელს სამხრეთ კავკასიის რეგიონში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) და ყაზახეთში.

კომპანია სთავაზობს „ფერეტი“ (Ferretti) ჯგუფის პროდუქტების ფართო სპექტრს, რაც მოიცავს 8 მეტრიანი კატერებით დაწყებული და 45+ მეტრიანი იახტებით დამთავრებულ პრემიუმ კლასის პროდუქტებს. კომპანია ასევე სთავაზობს „რივას“ პრესტიჟულ იახტებს, „ფერეტის“ მაღალი ხარისხის დიდი და საშუალო ზომის კრუიზერებს, „პერშინგის“ ფირმის სპორტულ და „ქასტომ ლაინის“ ბრენდის სპეციალური შეკვეთით დამზადებულ მდიდრულ იახტებს. ასევე, კომპანია კლიენტებს ეხმარება წყლის მოტოციკლების, ჰიდროციკლების, ან უფრო მცირე ზომის კატერების შეძენაში წყლის სპორტის სხვადასხვა სახეობებისთვის. კომპანიის მომსახურება მოიცავს კლიენტების დახმარებას იახტის დაქირავებაში, ტექნიკურ მომსახურებაში, მოვლასა და მენეჯმენტში.



**საკონტაქტო ინფორმაცია :**



**მისამართი:** საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ე



**ტელეფონი:** +995 577 797 222

**ვებ გვერდი:** [WWW.CAUCASUSYACHTS.COM](http://WWW.CAUCASUSYACHTS.COM)

**ელ ფოსტა:** [IK@CAUCASUSYACHTS.COM](mailto:IK@CAUCASUSYACHTS.COM)



### EUROMARINE GROUP

EUROMARINE GROUP LTD წარმოადგენს საზღვაო კომპანიას რომელიც სპეციალიზირდება მსოფლიო კლასის ბრენდების იახტების შეძენაზე, რეალიზაციასა და საბროკერო მომსახურებაზე, რემონტზე, დიზაინზე, აგებაზე, პროექტირებაზე და მსოფლიო ფარგლებში იახტების მომსახურებაზე. ჯგუფის წილი კომპანიის კაპიტალში შეადგენს 100%-ს.

კომპანიის საკუთრებაში არსებული იახტები:



“Atlantis”



“Corona”



**საკონტაქტო ინფორმაცია :**



**მისამართი:** ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, როუდ თაუნ, ტორტოლა. MDE შენობა.



**ტელეფონი:** +1 954 905 2662

**ვებ გვერდი:**

**ელ ფოსტა:** [INFO@EUROMARINEGROUP.COM](mailto:INFO@EUROMARINEGROUP.COM)

## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)



### EuroMarine Group Tersanecilik Sanayi

EuroMarine Group Tersanecilik Sanayi LTD წარმოადგენს გემთმშენებელ ქარხანას, რომელიც მდებარეობს თურქეთის საზღვაო ქალაქ ანტალიის ტერიტორიაზე. კომპანიის საქმიანობა მიმართულია სამოც მეტრამდე იახტების მშენებლობაზე და რემონტზე. ასევე, იახტებისთვის შესაბამისი ავეჯის წარმოებაზე. კომპანია დაარსდა 2017 წელს. დაარსებიდან მოკლე ხანში, კომპანიამ მიიღო დაკვეთები და აქტიურად დაიწყო იახტების მშენებლობის პროცესი. სამშენებლო პროცესი მოიცავს იახტების აგებას პროექტირებიდან, სრული კორპუსის აგებამდე და წყალში ჩაშვებამდე.

**EuroMarine Group Tersanecilik Sanayi** ოფისი და ქარხნის ტერიტორია



### მშენებლობის პროცესი



### საკონტაქტო ინფორმაცია :



მისამართი: თურქეთის რესპუბლიკა, ანტალია, Liman Sb. Mh. B-1 Cad. No:14



ტელეფონი: + 90 242 222 0050



ელ ფოსტა: [bd@euromarinegroup.com](mailto:bd@euromarinegroup.com)



### ნექსი ტექი

2018 წლის ნოემბერში ჯგუფმა დააფუძნა კომპანია შპს ნექსი ტექი, სადაც ჯგუფი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 50%-იან წილს. კომპანიას 2018 წელს არ დაუწყია საქმიანობა. ჯგუფს არ აქვს კომპანიის ერთპიროვნულად მართვის უფლება და შესაბამისად ინვესტიციას აღრიცხავს კაპიტალ მეთოდით.

შპს ნექსი ტექი ორიენტირებულია ორგანიზაციების ეფექტიანობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე ისეთი თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორებიცაა ნივთების ინტერნეტი (IoT), ხელოვნური ინტელექტი (AI) და კორპორაციული ბლოკჩეინ სისტემები.



## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)

მსოფლიოს ლიდერ მწარმოებლებსა და ინტეგრატორ კომპანიებთან პარტნიორობით, ნექსი ტექნიკა ბაზარს სთავაზობს საქართველოს რეალობაზე მორგებული უახლესი თაობის ტექნოლოგიურ პროდუქტებს და სერვისებს, ხოლო კომპანიაში დასაქმებული მენეჯერებისა და ტექნიკური სპეციალისტების პროფესიონალიზმი და მრავალწლიანი გამოცდილება, ხელს უწყობს კომპანიის დამკვეთების კმაყოფილებას და წარმატებას.

ნივთების ინტერნეტი (IoT), ხელოვნური ინტელექტი (AI), კორპორაციული ბლოკჩეინი, თუ სხვა თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიები ის ინსტრუმენტებია, რომლებზე დამყარებული გადაწყვეტებით და სერვისებით ნექსი ტექნიკა უზრუნველყოფს დამკვეთი ორგანიზაციების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

კომპანია ორიენტირებულია გადაწყვეტების მიწოდებაზე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისთვის. ნექსი ტექნიკა ამჟამად ბაზარს სთავაზობს შემდეგ გადაწყვეტებს:



**ჰკვიანი ქალაქი:** ჰკვიანი ქალაქის კონცეფცია გულისხმობს ქალაქის აქტივების მონიტორინგსა და პროცესების ეფექტიან მართვას ციფრული ინსტრუმენტების მეშვეობით, რაც მიიღწევა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ნივთების ინტერნეტის (IoT) ინტეგრაციის შედეგად. ჰკვიანი ქალაქის მთავარი დანიშნულება მისი მაცხოვრებლებისა, თუ ვიზიტორების უკეთ მომსახურება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სენსორული მოწყობილობები, მათი ქსელები და სპეციალური პროგრამული აპლიკაციები, რომელთა მეშვეობითაც ქალაქის მმართველობა ახერხებს რეალურ დროში აკონტროლოს და მართოს ისეთი საქალაქო სისტემები, როგორებიცაა გარე განათება, ელექტრომომარაგების ქსელები, წყალმომარაგების სისტემები, ნარჩენების გატანის სერვისი, პარკინგი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გარემოს დამინდურების ხარისხი და ა. შ.

**ჰკვიანი აგრიკულტურა:** ჰკვიანი აგრიკულტურის კონცეფცია გულისხმობს სოფლის მეურნეობის საქმიანობის წარმართვაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ნივთების ინტერნეტისა და სხვა ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას, იმ მიზნით რომ გაიზარდოს სამეურნეო საქმიანობის პროდუქტიულობა და ფინანსური შემოსავლიანობა. აღნიშნულის განსახორციელებლად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სენსორები, უპილოტო საფრენი აპარატები, მეტეოროლოგიური მოწყობილობები, გლობალური პოზიციონირების სისტემები, დაბალი ენერგომოხმარების რადიო ქსელები, მონაცემთა დამუშავების ღრუბლოვანი პლატფორმები და სპეციალიზებული პროგრამული აპლიკაციები, რომელთა მეშვეობითაც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში მიიღწევა პროდუქტიულობისა და შედეგიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

**ჰკვიანი მრიცხველები:** ჰკვიანი მრიცხველების ინფრასტრუქტურა (AMI – Advanced Metering Infrastructure) წარმოადგენს ავტომატური, ორმხრივი კომუნიკაციის არქიტექტურას კომუნალური მომსახურების ოპერატორსა და მოხმარების წერტილში არსებულ მრიცხველებს შორის, იმ მიზნით, რომ სერვისების გამწვევი კომპანია რეალურ დროში მოამარაგოს მოხმარებული რესურსების შესახებ მონაცემებით. როგორც წესი, მსგავსი სისტემები გამოიყენება გაზის, წყლის და ელექტროენერგიის დისტრიბუტორი კომპანიების მიერ საბოლოო მომხმარებელზე (კერძო აბონენტი, ოფისი, თუ მსხვილი საწარმო) მიწოდებული რესურსების აღსარიცხავად.

## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა (გაგრძელება)

### საკონტაქტო ინფორმაცია :



მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ე



ტელეფონი: +995 (32) 222 70 50



ვებ გვერდი: [WWW.NEXY.TECH](http://WWW.NEXY.TECH)



ელ ფოსტა: [welcome@nexy.tech](mailto:welcome@nexy.tech)



### ბათუმის იახტ კლუბი

შპს ბათუმის იახტ კლუბი დაფუძნდა 2018 წელს. კომპანიის კაპიტალის 100%-ის მფლობელია იუ-ჯი-თი ჯგუფი. ბათუმის იახტ კლუბის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბათუმის საზღვაო აკვატორიაში მცურავი საშუალებებისთვის ე. წ. „Docking“ მომსახურების მიწოდება. კომპანია სერვისებს აწვდის როგორც მცირე ზომის მცურავ საშუალებებს, ასევე დიდი ზომის იახტებს.

კომპანიის მიზანია მომხმარებლებს შესთავაზოს ყველა საჭირო სერვისი, როგორცაა საწვავით და ელექტროენერგიით მომარაგება, მშრალი შენახვა (60 მეტრამდე მცურავი საშუალებებისთვის), ტექნიკური მომსახურება და მალაზია. გარდა ამისა, იგეგმება იახტების შოურუმის მოწყობა, სადაც მომხმარებლებს საშუალება ექნებათ ადგილზე შეიძინონ იახტები და მცირე ზომის მცურავი საშუალებები.



### საკონტაქტო ინფორმაცია :



მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ე



ტელეფონი: +995 (32) 2 22 05 05



ვებ გვერდი: [WWW.BYC.GE](http://WWW.BYC.GE)

## ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

ჯგუფში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას

## მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

ჯგუფის რეალიზაციის მოცულობამ 2018 წელს შეადგინა 115.06 მილიონი ლარი, 2017 წელს 127.04 მილიონი ლარი.

2018 წელს რეალიზაციების შემცირების ძირითადი მიზეზია შპს იუჯითის მიმართულებით პროგრამული ლიცენზირების ბაზრის შემცირება, შედეგად შემცირდა შესაბამისი მიმართულების რეალიზაციები რამაც გავლენა იქონია მთლიანი კომპანიის რეალიზაციების მოცულობაზე. შპს იუჯითის სხვა ყველა ბიზნეს მიმართულებების მხრივ კომპანიას 9% ზრდა ქონდა 2017 წელთან შედარებით. ზრდის მიზეზებიდან გამოსაყოფია რამდენიმე ფაქტორი: 1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და უსაფრთხოების სისტემების მიმართულების შედეგი 2018 წელს 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 60% ით. ზრდის მიზეზი ნაწილობრივ იყო პროექტები რომლებიც დაიწყო 2017 წელს მაგრამ დაიხურა 2018 წელს. ნაწილობრივ კი ზრდის მიზეზი იყო მიმართულების ბაზრის წილის ზრდა.

სხვა შვილობილების მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საცალო სექტორის ბაზრის კლება რომელმაც გამოიწვია 13,7 % ით რეალიზაციების შემცირება.

ჯგუფის მოგებამ გადასახადებამდე და ფინანსურ ხარჯამდე [EBIT] 2018 წელს შეადგინა 5.58 მილიონი, 2017 წელს 11.01 მილიონი. მოგებამ გადასახადებამდე და ფინანსური ხარჯის ჩათვლით [[EBT] 2018 წელს შეადგინა 5.67 მილიონი ლარი, 2017 წელს 11.047 მილიონი ლარი. EBIT ში შემცირება დიდ წილად განპირობებული იყო რეალიზაციების შემცირების ფაქტორის გამო.

თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები შედგება ფიქსირებული შრომის ანაზღაურებისაგან, ცვლადი შრომის ანაზღაურებისაგან, პრემიებისგან, თანამშრომელთა დაზღვევისათვის გაწეული ხარჯისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გაწეული დანახარჯებისაგან. სახელფასო ხარჯის ზრდა, განპირობებულია როგორც არსებულ თანამშრომლებზე ხელფასის მატებით, რომელს ეფექტიც ზრდაში 50%, ასევე ახალი თანამშრომლების აყვანით. ჯგუფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სწორ საკადრო პოლიტიკას, მათ შორის ანაზღაურების ნაწილში. კომპეტენტური და კვალიფიციური კადრები ჯგუფის წარმატების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. 2017 წლის შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელია ახალი და ძველი კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და გაზრდილი მოტივაცია.

2017 -2018 წლებში სახელფასო ხარჯი (ლარში) მუხლობრივად ასე გამოიყურება :

| შინაარსი                                    | 2017 წელი | 2018 წელი |
|---------------------------------------------|-----------|-----------|
| ხელფასები                                   | 6,774,449 | 8,629,148 |
| პრემიები                                    | 3,490,194 | 6,899,048 |
| დაზღვევა და სხვა სარგებელი                  | 237,900   | 377,701   |
| თანამშრომელთა რაოდენობა პერიოდის დასაწყისში | 237       | 264       |
| თანამშრომელთა რაოდენობა პერიოდის ბოლო       | 264       | 324       |
| საშუალო თანამშრომელთა რაოდენობა             | 229       | 292       |
| წლიურმა საშუალო ხელფასი                     | 29,583    | 29,552    |
| საშუალო თვიური ხელფასი                      | 2,465     | 2,460     |

## საბალანსო სტრუქტურის მიმოხილვა

2018 წლის ბოლოს ჯგუფის აქტივების მოცულობამ შეადგინა 45.38 მილიონი ლარი. 2017 წელთან შედარებით აქტივები გაიზარდა 1.040 მილიონი ლარით. ზრდის მნიშვნელოვანი წილი მოდის სასაქონლო მარაგების მუხლზე. საქონელი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 11.4 მილიონი ლარია, 2018 წლის იგივე პერიოდის საქონლის ნაშთი 20,313 მილიონი ლარია.

## მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო ნაშთი შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს:

|                                                                                                                       | 2018 წელი  | 2017 წელი |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|-----------|
| კლიენტებისთვის კონტრაქტის საფუძველზე შეძენილი კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ჯგუფების საქონელი. მიწოდების ვადა 1-3 თვე. | 5,087,000  | 2,745,000 |
| კონტრაქტის გარეშე სამარაგე საქონელი 1-5 თვემდე გაყიდვის ვადიანობით                                                    | 3,427,000  | 4,060,684 |
| გასაყიდად გამოიზნული იახტები და შესაბამისი მარაგ ნაწილები                                                             | 11,798,000 | 4,513,000 |

### ლიკვიდობის კოეფიციენტები

| კოეფიციენტი                       | 2018 წელი | 2017 წელი |
|-----------------------------------|-----------|-----------|
| მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი  | 1.84      | 2.02      |
| სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი     | 0.87      | 1.41      |
| აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი | 0.35      | 0.49      |

### რენტაბელობის მაჩვენებლები

| კოეფიციენტი                        | 2018 წელი | 2017 წელი |
|------------------------------------|-----------|-----------|
| გაყიდვების რენტაბელობა             | 20%       | 18%       |
| ROE საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა | 0.23      | 0.44      |
| ROA აქტივების რენტაბელობა          | 0.12      | 0.25      |

## არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

### სოციალური პასუხისმგებლობა და თანამშრომლები

იუ-ჯი-თი ჯგუფი ყოველდღიური საქმიანობისას მნიშვნელოვნად მიიჩნევს და ითვალისწინებს სოციალური პასუხისმგებლობის და გარემოზე ზემოქმედების საკითხებს. საკადრო პოლიტიკა ჯგუფის საქმიანობის და სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია. პოლიტიკა მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების მაქსიმალურ გათვალისწინებას. ჯგუფი ზრუნავს თავის თანამშრომლებზე და მათ მოტივაციაზე. ამისთვის, ჯგუფი: 1. პერიოდულად ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს თანამშრომლებისთვის; 2. ახალისებს გრძელვადიან თანამშრომლობას მატერიალური და სხვა ფორმით; 3. მუდმივად ახორციელებს წარმატებული თანამშრომლების შეფასებას დაწინაურების და განვითარების მიზნით; 4. იყენებს მატერიალური წახალისების სქემებს დაოჯახების და შვილის შეძენის შემთხვევებში; 5. ანაზღაურებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯებს; 6. იყენებს წარმატებული თანამშრომლების სწავლის და ტრენინგების დაფინანსების სისტემებს.

ჯგუფში დანერგილია თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის და შეთავაზებების შეფასების სისტემა. ხორციელდება შედეგებისა და შეთავაზებების პერიოდული განხილვები, რომელთა საფუძველზეც ცვლილებები შედის ოპერაციებში, შინაგანაწესებსა და პროცედურებში.

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წელს შეადგენდა 292 ადამიანს, 2017 წელს 229 ადამიანს.

ჯგუფში 2018-2017 წლებში დასაქმებულთაგან 23% ქალია, ხოლო 77% - მამაკაცი.

|               |     |
|---------------|-----|
| 30 წლამდე     | 33% |
| 31-50 წლამდე  | 58% |
| 50 წლის ზემოთ | 9%  |



## სამუშაო გარემოს უსაფრთხოება

ჯგუფში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოებას. 2018 წელსაც, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. გადამოწმდა და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი შენობების ინფრასტრუქტურა შრომის უსაფრთხოების ნორმებთან. განახლდა შრომის უსაფრთხოების შიდა ინსტრუქციები (შრომის უსაფრთხოების საერთო წესები, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია, სიმაღლეზე მუშაობის ინსტრუქცია, სხვადასხვა მოწყობილობების და დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის ინსტრუქციები). ჯგუფში მოწვეული იქნა შრომის უსაფრთხოების საკითხებში ლიცენზირებული კომპანია, რომელმაც შეისწავლა შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა, გასცა რეკომენდაციები და კომპანიის მიერ განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები. ამავე კომპანიის მიერ მოხდა თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება. ასეთივე ღონისძიებების ჩატარება იგეგმება მომდევნო წლებშიც.

## გარემოს დაცვა

იუ-ჯი-თი ჯგუფი, თანახმად საქართველოს კანონისა „გარემოს დაცვის შესახებ“, არ წარმოადგენს იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს. შესაბამისად, ორგანიზაცია არ საჭიროებს სპეციალური გარემოს დაცვითი ღონისძიებების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, ჯგუფი მუდმივად ახორციელებს მისი ვალდებულებების გადაფასებას გარემოს დაცვის მიმართულებით.

## ჯგუფის ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა

ჯგუფი, ყოველდღიური აქტივობის ფარგლებში, განიცდის სხვადასხვა ტიპის რისკის ზემოქმედებას. რისკების მართვა არის ბიზნესის მართვის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჯგუფის მომგებიანობა. ჯგუფი განსაზღვრავს რისკს როგორც პოტენციურ უარყოფით დევნიაციას მოსალოდნელი ფინანსური შედეგისაგან. ჯგუფის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ჯგუფის რისკების შეფასების და მართვის პოლიტიკის განსაზღვრაზე. ჯგუფის რისკების მენეჯმენტის პოლიტიკის დანერგვის მიზანია იმ რისკების დროული იდენტიფიცირება და ანალიზი რომლის წინაშეც დგას ჯგუფი, რათა დროულად მოხდეს რისკების ლიმიტების განსაზღვრა და კონტროლის სისტემების შემუშავება. ბაზარზე და ჯგუფის საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინების მიზნით პერიოდულად ხორციელდება რისკების მართვის პოლიტიკის და სისტემების გადახედვა მათში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დადგენის მხრივ. ჯგუფს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით ძირითადად აქვს საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკები

### საკრედიტო რისკი :

საკრედიტო რისკი არის ფინანსური ზარალის მიღების რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ეხება იმ შემთხვევებს როდესაც ჯგუფის დებიტორი ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მხარე არ ან ვერ დაფარავს მის კრედიტორულ დავალიანებას. საკრედიტო რისკები ეხება ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და დებიტორულ დავალიანებებს.

**ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშებზე განთავსებით წარმოშობილი საკრედიტო რისკი:** ჯგუფის ფულადი სახსრები განთავსებისას ითვალისწინებს საკრედიტო დაწესებულების საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებულ რეიტინგებს და არჩევანს აკეთებს მაღალი რეიტინგის ბანკებზე. ჯგუფის მომსახურე ბანკებს რომლებშიც განთავსებული აქვს მნიშვნელოვანი მოცულობის ფულადი სახსრები მინიჭებული აქვთ შემდეგი რეიტინგები: Fitch Ratings: ‘BB-’; Moody’s: ‘B1/Ba3’; S&P Global Rating: B.

### დებიტორებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი

ჯგუფზე საკრედიტო რისკის ზემოქმედება ძირითადად დამოკიდებულია ცალკეული დებიტორის/კლიენტის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე. მიუხედავად ინდივიდუალური რისკებისა ჯგუფი ასევე ითვალისწინებს იმ ინდუსტრიის და ქვეყნის რისკებსაც რომელსაც მიეკუთვნება კონკრეტული დებიტორი/კლიენტი. რისკების მართვის პოლიტიკის შესაბამისად კრედიტუნარიანობის დადგენის მიზნით ახალი ხელშეკრულების/შეკვეთის გაფორმებამდე ხორციელდება ჯგუფის ყველა კლიენტის ინდივიდუალური ანალიზი. კლიენტი რომელიც ვერ აკმაყოფილებს ჯგუფის საკრედიტო პოლიტიკის სტანდარტებს ჯგუფთან ურთიერთობს მხოლოდ სრული საავანსო გადახდების მეშვეობით.



## **ჯგუფის ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკის შედეგად ჯგუფს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ქონია სავაჭრო მოთხოვნების არ დაფარვით გამოწვეული არსებითი ზარალი.

კლიენტების 70%-ზე მეტთან რამდენიმე წლის წარმატებული ურთიერთობის ისტორია აქვს. ინდივიდუალური ანალიზის შედეგად ჯგუფი ახდენს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით დანაკარგების ანარიცხების აღიარებას. 2018 წლის ფინანსური ინსტრუმენტების ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე საკრედიტო რისკთან დაკავშირებული გაუფასურების არსებითი მტკიცებულება არ გამოვლენილა.

### **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის ჯგუფის რისკი იმისა რომ ის ვერ შეძლებს ვალდებულების დაფარვას გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით მუდმივად ახორციელებს მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დაგეგმვასა და შესაბამის ანალიზს. იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ლიკვიდურობის რისკი ჯგუფი მუდმივად ახორციელებს ფულადი ნაკადების როგორც შემოსავლების ასევე გასავლების დეტალურ დაგეგმვასა და კონტროლს კვირის, თვის და კვარტლის ჭრილში. ფულადი სახსრების დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებამდე ხორციელდება ანალიზი თუ რა ზეგავლენა ექნება თარიღების ჭრილში ახალ ვალდებულებებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ასევე ჯგუფი ლიკვიდურობის რისკის სამართავად იყენებს საბანკო სესხს, გადახდის გარანტიებს და სხვა საბანკო პროდუქტებს.

### **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა რომ საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად შემცირდება ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

### **სავალუტო რისკი :**

ჯგუფს სავალუტო რისკი წარმოეშევა იმ გაყიდვებიდან, შესყიდვებიდან და სესხებიდან რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, ჯგუფის კომპანიების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების უმეტესობა გამოხატულია აშშ დოლარში. ჯგუფი ერთიანი მდგომარეობით აანალიზებს და მართავს საკუთარი და შვილობილი კომპანიების სავალუტო რისკებს და ღია სავალუტო პოზიციებს, ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში კონსოლიდირებულ დონეზე იყენებს წარმოებულ და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტებში ცვლილებებით განპირობებული რისკის სამართავად.

### **საპროცენტო რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების ზემოქმედებით. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში აღიარებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებიდან (როგორცაა, მაგალითად სესხები და მოთხოვნები და გამოშვებული სავალო ინსტრუმენტები) და ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტიდან, რომელიც აღიარებული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში (მაგალითად, ახალი სესხების მოზიდვის ზოგიერთი ვალდებულება).

### **ფასების რისკი**

ფასების რისკი არის რისკი იმისა, რომ გასაყიდად გამიზნული შეძენილი საქონლის მომსახურების ფასები დაეცემა რის შედეგადაც ჯგუფი ვერ შეძლებს ისეთ ფასად გაყიდოს შეძენილი აქტივი, რომ უზრუნველყოს მოგების მიღება. გამომდინარე იქიდან, რომ ფასების რისკის სრულად ელიმინირება შეუძლებელია, ჯგუფი ცდილობს სხვადასხვა მეთოდებით მინიმუმზე დაიყვანოს ფასების რისკის შესაძლო ნეგატიური შედეგი. გასაყიდად გამიზნული აქტივების შეძენა უმეტესწილად ხდება კლიენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და იმ ვალუტაში რომელშიც ხდება შესაბამისი აქტივის შეძენა რათა ფასების რისკის ეფექტი მინიმუმზე იქნას დაყვანილი.

## ჯგუფის ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იმ იშვიათ შემთხვევებში სადაც აუცილებელია სამარაგე საქონლის შეძენა, საქონელის შეძენამდე ხდება ბაზრის მოკვლევა და სხვა კონტროლის პროცედურები რათა შეირჩეს ის საქონელი რომელიც ადეკვატურად ლიკვიდურია და ატარებს მინიმალურ ფასების რისკს საბაზრო მოგების მარჟის გათვალისწინებით.

### საოპერაციო საქმიანობიდან წარმოშობილი რისკები

ჯგუფში საოპერაციო რისკების მართვა ერთ-ერთი პრიორიტეტული და სენსიტიური საკითხია. საოპერაციო რისკების მართვა უზრუნველყოფს ჯგუფზე შესაძლო მატერიალურ, არამატერიალურ და სასიცოცხლო მნიშვნელობის ზიანის თავიდან აცილებას. ამგვარ კრიტიკულ საკითხებზე დროული და სწორი რეაგირებისთვის ხორციელდება ორგანიზაციის შიდა სისუსტეებზე და გარე საფრთხეებზე მონაცემების შეგროვება. დანერგილია მონიტორინგის, შეფასებისა და ანალიზის ავტომატური და ნახევრად ავტომატური პროცედურები.

ქვემოთ მოცემულია ის საოპერაციო რისკები რომელთა ხდომილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე :

- კონტროლის შიდა პროცესების რისკი
- თაღლითობის და გაფლანგვის რისკი
- ინფორმაციული სისტემების დაზიანება, დაკარგვა და სხვა რისკები
- ქვეყნის რისკი
- საკანონმდებლო გარემოს რისკი
- რეპუტაციული რისკი

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვის და პოტენციური ზარალის თავიდან აცილებისთვის ჯგუფში დანერგილია შესაბამისი პროცესები რომელთა გადახედვა ხორციელდება რეგულარულად წლის განმავლობაში.

### კაპიტალის მართვა

ჯგუფი მიზნად ისახავს კაპიტალის ისეთი მართვას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ჯგუფის ფუნქციონირება და ამავ დროულად უზრუნველყოფილი იყოს დამფუძნებლებისათვის ადეკვატური უკუგება. ჯგუფის მენეჯმენტი მუდმივად ახდენს იმის შეფასებას თუ რამდენია ჯგუფის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის საჭიროება რათა შენარჩუნებულ იქნას დაფინანსების ეფექტური სტრუქტურა და არ გაჩნდეს ნახსენებ სახსრებზე გრძელვადიანი დამოკიდებულება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ჯგუფი მუდმივად ახდენს პოტენციური პროექტების ფულადი ნაკადების და მომგებიანობის ანალიზს რათა შეირჩეს ჯგუფის მიერ მოთხოვნილი და პროექტის რისკიანობის შესაბამისი უკუგების განაკვეთის მქონე პროექტები. ჯგუფი გასანაწილებელი დივიდენდის მოცულობის განსაზღვრისას მუდმივად ითვალისწინებს თუ დივიდენდის ეფექტს კაპიტალის სტრუქტურაზე და საჭიროების შემთხვევაში ახდენს დივიდენდის მოცულობის კორექტირებას რათა შენარჩუნებულ იქნას კაპიტალის ეფექტური სტრუქტურა.

### დამატებითი განმარტებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 18 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ერმილე სულაძე

ადამ გამყრელიძე

## ჯგუფის ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იმ იშვიათ შემთხვევებში სადაც აუცილებელია სამარაგე საქონლის შეძენა, საქონელის შეძენამდე ხდება ბაზრის მოკვლევა და სხვა კონტროლის პროცედურები რათა შეირჩეს ის საქონელი რომელიც ადეკვატურად ლიკვიდურია და ატარებს მინიმალურ ფასების რისკს საბაზრო მოგების მარჟის გათვალისწინებით.

### საოპერაციო საქმიანობიდან წარმოშობილი რისკები

ჯგუფში საოპერაციო რისკების მართვა ერთ-ერთი პრიორიტეტული და სენსიტიური საკითხია. საოპერაციო რისკების მართვა უზრუნველყოფს ჯგუფზე შესაძლო მატერიალურ, არამატერიალურ და სასიცოცხლო მნიშვნელობის ზიანის თავიდან აცილებას. ამგვარ კრიტიკულ საკითხებზე დროული და სწორი რეაგირებისთვის ხორციელდება ორგანიზაციის შიდა სისუსტეებზე და გარე საფრთხეებზე მონაცემების შეგროვება. დანერგილია მონიტორინგის, შეფასებისა და ანალიზის ავტომატური და ნახევრად ავტომატური პროცედურები.

ქვემოთ მოცემულია ის საოპერაციო რისკები რომელთა ხდომილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე :

- კონტროლის შიდა პროცესების რისკი
- თაღლითობის და გაფლანგვის რისკი
- ინფორმაციული სისტემების დაზიანება, დაკარგვა და სხვა რისკები
- ქვეყნის რისკი
- საკანონმდებლო გარემოს რისკი
- რეპუტაციული რისკი

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვის და პოტენციური ზარალის თავიდან აცილებისთვის ჯგუფში დანერგილია შესაბამისი პროცესები რომელთა გადახედვა ხორციელდება რეგულარულად წლის განმავლობაში.

### კაპიტალის მართვა

ჯგუფი მიზნად ისახავს კაპიტალის ისეთი მართვას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ჯგუფის ფუნქციონირება და ამავე დროულად უზრუნველყოფილი იყოს დამფუძნებლებისათვის ადეკვატური უკუგება. ჯგუფის მენეჯმენტი მუდმივად ახდენს იმის შეფასებას თუ რამდენია ჯგუფის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის საჭიროება რათა შენარჩუნებულ იქნას დაფინანსების ეფექტური სტრუქტურა და არ გაჩნდეს ნასესხებ სახსრებზე გრძელვადიანი დამოკიდებულება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ჯგუფი მუდმივად ახდენს პოტენციური პროექტების ფულადი ნაკადების და მომგებიანობის ანალიზს რათა შეირჩეს ჯგუფის მიერ მოთხოვნილი და პროექტის რისკიანობის შესაბამისი უკუგების განაკვეთის მქონე პროექტები. ჯგუფი გასანაწილებელი დივიდენდის მოცულობის განსაზღვრისას მუდმივად ითვალისწინებს თუ დივიდენდის ეფექტს კაპიტალის სტრუქტურაზე და საჭიროების შემთხვევაში ახდენს დივიდენდის მოცულობის კორექტირებას რათა შენარჩუნებულ იქნას კაპიტალის ეფექტური სტრუქტურა.

### დამატებითი განმარტებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 18 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_ ერმილე სულაძე

ფინანსური დირექტორი

\_\_\_\_\_ ადამ გამყრელიძე